№ 12
1909

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძინაარსი

I—საშობაო ზღაპარი,——დექსი, ვაჟა-ფშაველასი. 3

II—ლუკმა პურისათვის,—ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი. . . 9

III—საჩუქარი... — ნინო ნაკაშიძისა. 14

IV—საზღვარ გარედ,—(მოგონებანი და შთაბეჭდილებანი) არჩ. ჯორჯაძისა 26

V—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—წერილი მერვე, ალ. წულაძისა. 36

VI—თეთრი ყანჩა,—(დასასრული), ნ. ტელეშოვისა, (თარგმანი) განდეგილისა 41

VII—ნატო გაბუნია,—X—სა. 52

VIII—ფრიდრიხ შილლერი,—ა. მ—ძისა. 54

IX—მითოლოგია,—ტროადის ომი,—მოტიქულების აქილევსთან წასვლა, ა. მიქაბერიძისა. 59

X—რებუსი და აღსნა. 64

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

დეკემბერი, 1909 წ.

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

№ 12.

ბეფარველი ანგელოზი

ტფილისი, ელექტრომბეჭდავი წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—საშობაო ზღაპარი,——დექსი, ვაჟა-ფშაველასი. 3

II—ლუკმა პურისათვის,—ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი. . . 9

III—საჩუქარი...—ნინო ნაკაშიძისა 14

IV—საზღვარ გარედ,—(მოგონებანი და შთაბეჭდილებანი) ალ. ჯორჯაძისა 26

V—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—წერილი მერვე, ალ. წულაძისა. 36

VI—თეთრი ყანჩა,—(დასასრული), ნ. ტალეშოვისა, განდეგილისა 41

VII—ნატო გაბუნია,— 52

VIII—ფრიდრიხ შილლერი,—ს. მ—ძესი. 54

IX—მითოლოგია,—ტროადის ომი,—მოტიქუდების აქილევსთან წასვლა, ს. მიქაბერიძისა. 59

X—რებუსი და აღსნა. 64

ეროვნული
ბიბლიოთეკა

290

საშობაო ზღაპარი

I

ტყე როგორ დაბერებულა,
ძირს თავი დაუკიდია;
შეუბრალებელს ზამთარსა
ზურგს ტვირთი აუკიდია
საწყლისთვის. ტყეს ზვავი აწევს
მძიმე, თეთრი და დიდია;—
ნაღვლობს წარსულსა, ოცნებობს,
გუნება არ აქვს მშვიდია.
ალარც ნიავმა დაჰბერა,
ჩამოებერტყა ბარდანი, *)
ალარც მზის სხივი ეწამლა
მაღლიდან ჩამონაქანი,

*) ხეზე დადებული თოვლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ჩამოედნო ყინული,
ტყეს აეხილა თვალია,—
გამომძვრალიყო კურდღელი
ბარდში მჯდომარი, ფრთხალია
და მოეხოხნა ბალახი,
სადმე ეპოვნა მწვანია.
შვლებიც ნაღვლობენ: ყინულსა
ნეკერი დაუფარია.
გარინდებულა და ყუჩობს
მთელი ფრინველთა გვარია.
და ტყეში ისმის მგლებისა
მხოლოდ ღმუილი მწარია.

II

მაგრამ ხან და ხან ზამთრისა
დღე გამოტყვრება ნათელი
და ცხრა-თვალი მზე კაშკაშებს
როგორც წყვდიადში სანთელი.
სწორედ ასეთი დღე იყო
შობის სამის დღის წინადა,
ხეებიც საბან-ახდილნი
მზეს შეჰხარ[illegible]ოდნენ მწკრივადა.
ყინული ნამად ქცეული
დაბლა ჩამოდის ხშირადა.
უცბად ტყე შეფიქრიანდა,
ხეებს დაუსკდათ გულები:
ტყეში მოდიან კაცები,
მხარზე გაედოთ ცულები.

მუხა

ოჰ, როგორ მოისწრაფიან,
რომ დაგვაჩნიონ წყლულები!
დაგვერევიან წყეულნი,
როგორც ქარავანს თულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფელი

ჩვენ რა? ხელს როდი გვახლებენ—
მუხას, წიფელს, ან რცხილასა,—
არც ვერხვს, არც არყსა, არც თხილსა,
ვაი ნაძვების ბინასა!

არყი

მუდამ წელს ჩვეულებად აქვთ
სწორედ ამ დროსა გლეხებსა,
ზედაც არ შემოგვხედავენ,
ნაძვებს ატანენ ხელებსა;
ჩვენ თვალით გვაცქერინებენ,
როს იმათ სჭრიან ყელებსა.

კუნელი

საშობაოდა ზრუნავენ
ბალღების გასახაროდა
და იმათ საქეიფოსა
ჰქმნიან ჩვენს გასამწაროდა.

მუხა

ყოჩაღ, კუნელო, შენაცა
გქონია გრძნობის ნასახი,
შეუბრალები მეგონე
ვით ეკლიანი ბალახი;
სჩანს, რომ ეკალი არ გიკლავს
შენ სიბრალულის გრძნობასა.
ეგ გრძნობა ძვირფასი არი,
გთხოვ, არ დაიხშო, ძმობასა!

კუნელი

ეკალი მტრისთვის მასხია —
ნაძვი რა ჩემი მტერია?!
როცა კი ვხედავ, რომ სჭრიან,
მე ჩემთვის ჩუეად ვსტირია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეები (ერთად)

ოღონდაც, როცა ერთს ჩვენგანს
სცემენ,—ჩვენ გვტკივა ყველასა
ტანი იმ დროსა, მაგრამ
დაჩაგრულს ვშველით ვერასა.

მუხა

ნეტავ პირდაპირ არ იდგნენ
ეგ საცოდავი ნაძვები!
ბედ-კრულთა ტანჯვა-ვაებით
მე უფრო დავიტანჯები.
მინდა აქედან უძახო:
კაცნო, ნუ სჩადით ავსაო!
რადა ჰყლეტთ, ულმერთოებო,
დაუნაშავარ ხალხსაო?!
მაგრამ ჩემი ხმა მკვდარია,
უხმოდა დნება გულშია;
ჩემი სათქმელი სიმართლე
მევე მეხევა წყლულშია
ნესტრადა, რადგან კაცთა ჭკვა
მარტო მკლავსა და ცულშია.

III

მუხა რომ ამას ამბობდა,
იმ დროს აჩქამდა ცულები;
აკვნესდა მთელი ნაძვის ტყე
საწყლებს უთრთოლავთ გულები:
ნაძვები უნდა გაყიდონ,
კაცთა აიღონ ფულები;
არ გააჩნიათ ბეწვადა
მათი ხვეწნა და წყლულები.
სხვა ხეებიცა სტირიან
დამწვარი-დადაგულები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგთ უბედურებას
რა ჰხედვენ, გაფარჩხულები.
რამდენიმე ხე წაიქცა
და უცბად შედგნენ ყველანი:
ჰხედავენ—მონაჭრიდანა
ნაძვებს გადმოსდით მელანი.
„ვაჰმეო,“ ერთ-ხმად იყვირეს
და იარაღიც დაყარეს..
ერთმანერთს გაოცებულთა
ესე ამბავი ახარეს:
„ხელს ბავშვი მიჭერს ვიღაცა
ანგელოზისა მზგავსია;
მკლავებს მიდუნებს, თვალებს მჭრის,
თითქოს მზე მადგეს ასია;
მე ხელს გავანძრევ ველარა,
სრულიად დავინავსია!“

IV

თოვლი ქაღალდად ქცეულა;
მაზედ ჩვილის ყრმის ხელითა
ზედ იწერება ამბავი
ალმასის კალმის წვერითა:
„ნუ გეწყინებათ, მუშაკნო,
რომ გიდუნდებათ მკლავია.
მიტომ არ მოვედ ქვეყნადა,
მიტომ არ დავიბადია,
რომ ყველამ ის ჩაიდინოს,
რაც მოსწონ, რაცა სწადია;
მიტომ არ ვეცვი ჯვარზედა,
საქმე ვიკისრე ძნელია—
ერთის ტანჯვითა მეორემ
რომ მოიღეროს ყელია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უმწეოთ, ტანჯულთ ცრემლებით
ჩემი კალთები სველია!
და, უკაცრავად, ავზედა
არ მოგიმართოთ ხელია!
გთხოვთ ერთს დღეს, ერთ დღეს მაინცა
არ იყოთ ავის მქნელია!"
ვინ იყო ამის დამწერი,
ვინ იყო ამის მთქმელია?

ვაჟა-ფშაველა

ლუკმა პურისათვის

ბის მნათობნი მხიარულად ციალებდნენ. ცდილობდნენ ერთმანეთისათვის გადაეცათ ახალი რაღაც. გაკრიალებული, გამჭვირვალო ჰაერი გაწამებულიყო. მთვარის ნაზი, ვერცხლებრივი სხივები ეშვებოდა თოვლით დაფენილ მინდვრებზე, და ბუნებას საიდუმლოებით ავსებდა.

შარა გზა კარგა დიდ მანძილზე მოსჩანდა, ირკვეოდა ჩარიგებულ ბოძებით, რომელნიც ერთი მეორეზე გადამბულიყვნენ წვრილ მავთულებით. ადგილ-ადგილ ამ მავთულებზე დადებული თოვლის ფიფქები ხანდისხან თითქო რიღასგანაც შეკრთებოდნენ, დაირხეოდნენ, უხმოდ ძირს ცვივოდნენ. თეთრად შელესილი მთები მედიდურად მისჩერებოდნენ შარა გზას, რომელზედაც გამოჩნდა სადიდკაცო მარხილი. ცხენები მალიმალ აჟღარუნებდნენ ზარებს; ამ ჟღარუნს ზედ ემატებოდა მეეტლეს მოუთმენელი შემოძახილი.

— აჩუ, შე, ზარმაცო, შენა! აჩუ! გასწი წინ! გასწი!..

ეს შემოძახილი უკვე სამი დღეა განუწყვეტლად ყურში შეესმოდა პატარა, რვა წლის გაიას, რომელიც თბილად

ჩაცმული დედ-მამას შუაში ჩასჯდომოდა, მოლალულ-მოქნილ-ცული თვალებს ხშირად ლულავდა, უნდოდა თავ[illegible]

თვის მიეცა, მაგრამ ერთ გვარად ყოფნა და ბოლო მოუღებელი მგზავრობა თავს აბეზრებდა სიცოცხლით სავსე ბავშვს. ხანდისხან წამოიწევდა, მიაჩერდებოდა რომელსამე საგანს და შემდეგ მოუბრუნდებოდა მშობლებს და ეკითხებოდა:

— ხომ არ მივედით, მამი?

— არა, შვილო, ჯერ კიდევ ბევრი გზა გვაქვს გასავლელი. უპასუხებდა მამა და მიაჩერდებოდა ბავშვის დალონებულ თვალებს. გაიას უსიამოვნოდ მოხვდებოდა გულზე ეს პასუხი, ჩაჩუმდებოდა და უკმაყოფილო ისევ თვალებს მილულავდა.

— რა ღამეა! ამისთანა ამინდი სწორედ შეჰფერის შობა ღამეს. წარმოსთქვა მამამ და მოხედა ცოლს, რომელიც თბილ მოსასხამში შეხვეულიყო, მიჰყუდებოდა ეტლის ზურგს და ჩაფიქრებული პირდაპირ გაიყურებოდა.

— შარშან შობას სად ვიყავით და ამალამ სადა ვართ! ქარი

რომ ამოგვივარდეს, კიდევაც მიგვახრჩობს ნამქერი! წარმოსთქვა ცოლმა და დაღონებულმა შეჰხედა ქმარს.

— აქეთ ნამქერი არ იცის; იმიტომაც არის, რომ უშიშარია ღამე მგზავრობა,—უპასუხა პავლემ.

პავლე მართალაშვილი სამსახურის გამო იძულებული იყო ცოლ-შვილით წასულიყო სამზღვარზე, თუმცა გული სწყდებოდა, რომ ასე შორდებოდა თავის ამხანაგებს, მეგობრებს, საყვარელ ადგილსა.

— ამაღამ ქრისტეს შობაა!.. წარმოსთქვა ისევ ფიქრში წასულულმა დედამ.

— ამაღამ ქრისტეს შობაა, გაია! ჩაესმა ბავშვს ყურში და გამოაფხიზლა.

გაიამ წამოიწია, მიიხედ-მოიხედა და მოუბრუნდა მამას.

— მამილო, მამი! მართლა ამაღამ ქრისტესშობაა?...

— ჰო, შვილო, ამაღამ დაიბადა ქრისტე.

— დღეს შობაა და ჩვენ-კი გზაში ვართ? შესძახა გაოცებით ბავშვმა.

— რა ვუყოთ მერე? შემთხვევით მოგვასწრო გზაზე ამ დიდებულმა დღესასწაულმა.

— მერე რად დავტოვეთ ჩვენი ბინა, მამი? შარშან რამხიარულად გავატარეთ დეიდა თებროსთან შობა ღამე! რა მშვენიერი ბრწყინვალე ხე ედგათ!..

— მაგიერად ჩვენს სახლში არაფერი იყო,—ნაღვლიანად დაუმატა მამამ.

— აქ რაღაა მერე? ცარიელი მინვდრები, გარშემო თოვლი და სიცივე... არა, მამი, დავბრუნდეთ ისევ უკან, მომწყინდა სიარული! მეტადრე ამაღამ არ მინდა კარზე ვიყო, ცის ქვეშ.

— აბა, შვილო, მიიხედ-მოიხედე, სწორედ ასეთი ღამე იყო ის ღამე, როცა პატარა იესო მინდორში დაიბადა, მეცხვარეების ფარეხში. მის გარშემო სისაწყლე იყო და არა სიმდიდრე, ნებივრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვი გაოცებით უყურებდა მამას, მამა უამბობდა ნელ-წვრილებით იესოს ამბავს.

გაია გაიტაცა ამბავმა, მალი-მალ იხედებოდა ზევით ცაში, სადაც ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ამათში ერთი ყველაზე დიდი თითქო ჩამოსცინოდა, იწვევდა, ეძახოდა გაიას:

— წამოდი, ბავშვო, მიგიყვან პატარა იესოსთან და თაყვანი ეცი.

შენისთანა ანგელოზები მასთან მრავალნი არიან!

გაიას გონება მიმოჰფრინავდა გამჭვირვალო ჰაერში და ოცნებობდა, ეჩვენებოდა, რომ ყოველივე საგანი ბუნებისა იელინთებოდა გაჭირვებულთა ცრემლებით და იპკურებოდა დიდებულ, ახლად შობილის გარეშემო, რომელიც ღიმებოდა და ამ ღიმილით აშრობდა ცრემლით ნაპკურს საგნებს.

— მამიჯან! შენა სთქვი, მარიამს უბრძანეს ბეთლემს წასვლა და იმიტომაც შემთხვევით გზაზე დაიბადა იესოვო?.. იკითხა კარგა ფიქრის შემდეგ გაიამ.

— ჰო, შვილო, იმათაც ასე ჩვენსავით მოასწრო გზაზე დიდებულმა დღესასწაულმა, როგორც ჩვენ ამაღამ... აქ, ამ ტრიალ მინდორზე...

— სულაც არა, მამილო, შენ აკი შენის სურვილით მიდიხარ... მარიამს კი უბრძანეს,— მიატანა უკმაყოფილოდ ბავშვმა.

— არა, ჩემო გოგონა, მეც მიბრძანეს.

— გიბრძანეს?!. ვინ?.. რისთვის მიდიხარ?..

— ლუკმა პურისთვის!.. უპასუხა ნაღვლიანად მამამ. ამ სიტყვაზე ბავშვი თითქო შეკრთა, შეჰხედა მამას, რომლის გამხდარი, ჯაფისაგან მოღალული სახე გამოუთმქმელ ნაღველს ჰხატავდა. მისი მახვილი გონება ღრმად ჩაუფიქრდა მშობლისაგან ნათქვამ სიტყვას...

გაიამ კარგად იცოდა, რომ ულუკმა პუროდ ძნელი იყო სიცოცხლე და ეს ლუკმა პური-კი ისე დაძვირებულიყო მათთვის, რომ ასე შორს, შორს უნდა წასულიყვნენ; მაგიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად გაიას აღარ მოშივდებოდა და კიდევაც ამისათვის ზრუნავდა მისი მამა, რომელსაც ასე უსაფუძლოდ ესაყვედურებოდა!

გაიას შეეცოდა ახლა მამა და თავი დამნაშავედ იგრძნო. ბავშვმა ხმა-ამოუღებლივ თავი მიაყრდნო მშობელს გულზე, ალერსით შეჰხედა თვალებში, თითქო ამ ალერსით უსიტყვოდ მოტევებასა სთხოვდა.

მამაც თითქო მიხვდა მის გულის პასუხს და, ნიშნად პატიებისა, დაეკონა თავის გოგონას. ამ დროს ზარებმა უფრო მეტად გაიჟღარუნეს, მოისმა ცხენების ფრუტუნი და მარხილიც სადგურთან გაჩერდა.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

საჩუქარი...

ატარა მელო აგერ რვა წლისა უნდა გამხდარიყო, მაგრამ ისეთი პაწაწკინა და გამხდარი იყო, რომ ხუთის წლისა არც-კი გეგონებოდათ. დიაღ, მელო პაწაწა იყო, მაგრამ იმის კიდევ უფრო პაწაწკინა წვრილ და სუსტ ფეხებს ამ პაწია ტანის ზიდვაც ემძიმებოდათ და სიარულზე უარს ამბობდნენ. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მელო სულ ერთთავად იჯდა ტახტზე პაწია, მოგრძო, ღლითა და ღამით ლამპრით განათებულ ოთახში, იმ დიდის სახლის კიბის ქვეშ, სადაც მელოს მამა მოსე მეკარედ იყო, და ამიტომ კიბის ქვეშ უნდა ეცხოვრათ, რომ მომსვლელ-წამსვლელებისათვის არ ელოდებინა და ზარის წკარუნზე კარი სახჭაროდ გაეღო.

როცა მელოს ლამპრის სინათლე მოჰბეზრდებოდა და მზის სინათლის დანახვა მოენატრებოდა, ჩამოხოხდებოდა ტახტიდან და ფორთხვით გახოხდებოდა უკან პატარა მოკირწყლულ ეზოში. იქ სანაგვე ყუთის ახლოს კედელთან ჩაჯდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა, თბებოდა მზის გულზედ და თანაც აღტაცებით ეჭერ-
ცქეროდა ჟღურტული ბელურების გროვას, რომლითაც ყო-
ველთვის სავსე იყო სანაგვე ყუთი. ხანდახან ბავშვებიც შე-
მოირბენდნენ ამ ეზოში, დასცემდნენ ყიჟინას და დარბოდნენ
სიცილ-ხარხარით. მელო ამ დროს თითონაც ხარხარებდა,
თვალები უელავდა, ხელებს ატოკებდა და სიტყვებით და ძა-
ხილით იღებდა თამაშობაში მონაწილეობას. ხანდახან დაავი-
წყდებოდა კიდევაც თავის ფეხების სისუსტე, წამოიწევდა ასა-
დგომად, მაგრამ მაშინვე ფეხები ეკეცებოდა და მოწყვეტილი
ეცემოდა დედამიწაზე. ბავშვებს, ამის დანახვაზე, ხარხარი აუ-
ტყდებოდათ და შერცხვენილი, თვალ-ცრემლიანი მელო ისევ
მიფორთხავდა თავის ოთახისაკენ, სადაც ლამპრის მკრთალი
ნათელი ბჟუტავდა და მკრთალად ანათებდა: მოგრძო, დაფე-
რადებულ ჭერიან ოთახის ჩაშავებულ კედლებს, ნაჭრების სა-
ბნით გადაფარებულ ერთად ერთ საწოლს, კუთხეში პატარა
მაგიდაზე წამოსკუპებულ ბჭყვრიალა სამოვარს, სკივრს, რო-
მელიც სკამების მაგივრობას სწევდა, კარიბჭეში საყურებელ
პატარა, გარედან უჩინარ, ფანჯარას და მაღლა კუთხეში ლა-
მაზ თაროზე არშიებიან თეთრ ფარდიდან გამომცქერალ
ღვთის მშობლის ხატს. ყოველ საღამოს მელო დაძინების წინ
დაჩოქილი და ამ კუთხისაკენ ხელაპყრობილი, თვალცრემ-
ლიანი ევედრებოდა ღვთისმშობელს: „ყოვლად წმიდაო ღვთის
მშობელო, მომირჩინე ჩემი სნეული ფეხები, რომ შემეძლოს
მეც სხვებივით ეზოში თავისუფლად სირბილი, რომ წრეულს
მაინც შევიძლო ჩემის საკუთარის ფეხებით ასვლა თამართან
შობის ხის დღეს.“ და შემდეგ დამშვიდებული ნელა ხუჭავდა
თა-ვის შავს, დიდრონს თვალებს და იძინებდა. გრუზა ზილ-
ფები შავი ვარაყივით წამოეშლებოდა ირგვლივ სანთელივით
ჩამომდნარ, დამშვიდებულ პაწია ნაზ სახეზე, რომელიც ოდ-
ნავაც არ ირხეოდა, თითქოს არ სუნთქავსო. მხოლოდ ხან-
დახან ძილში ნელ-ნელა დაიკვნესებდა და ეს სუსტი კვნესა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრგვინვასავით დაიგრიალებდა მელოს დედის თეკლეს გულში. საბრალო დედას გულიდან მწარე ამოძახილად ოხვრა აღმოხდებოდა და თვალცრემლიანი დააცქერდებოდა შვილს, თავის ერთად-ერთ ნუგეშს, მაგრამ ასეთ სუსტ, უბედურ ნუგეშს.

— რამდენი ხანია ეს ბავშვი ამ ოთახში გყავთ?—ჰკითხა მელოს მამას ექიმმა ერთხელ, როცა ამ სახლის პატრონმა, მოსეს კეთილმა ქალბატონმა, სთხოვა შემოევლო და გაესინჯა კუტი ბავშვი.

— ბავშვი აქ დაიბადა, ბატონო,—მიუგო მოსემ.

— რას ამბობთ?—შეჰყვირა ექიმმა, ერთი კიდევ მიავლ-მოავლო იქაურობას თვალი, თავი გადაიქნია და დაუმატა,— ახლავე წაიყვანეთ აქედან სადმე სუფთა ჰაერზე, სოფელში და, თუ ეს არ შეიძლება, კარგ ოთახში, ნათელ, მშრალ ოთახში გადაიყვანეთ. ეს ოთახი ნესტიანი, ბნელი და ცივია, გესმით? აქ ბავშვი არ მორჩება.

— სხვა ოთახში გადაიყვანეთ,—სთქვა ნაღვლიანად მოსემ, როცა ექიმი წავიდა:—ადვილი სათქმელია სხვა ოთახში გადაყვანა, მაგრამ სად არის ამ სხვა ოთახის სახსარი? ქალბატონი არ იძლევა, ის კი არა—ამბობს, ამ კიბის ქვეშაც არ გაქვს ნება, ცოლშვილს რომ აცხოვრებო, რადგანაც სტუმრები, ასვლა-ჩამოსვლის დროს ბავშვს ჰხედავენ, როცა კარიბჭეში გამოგყავსო. სრულიად თავისუფალი უნდა იყო, თუ გინდა მეკარედ სამსახურიო. მაგრამ მაინც გულკეთილის ქალბატონი, ადღეგრძელოს ღმერთმა, რომ არ გვყრის სახლიდან.

— გულკეთილი-კი არა, ანგელოზია სწორედ,—მიუგო ცოლმა:—კეთილი როგორ არ არის, როგორ ებრალება ჩვენი მელო, თავის ქალის გამონაცვალს რამდენს გვაძლევს, ამასთან ყოველთვის შობის ხეზე ჰპატიჟობს, საჩუქრებსაც აძლევს. შარშან, ლაზლის პერანგები რომ აჩუქა, აქამდის ვაცმევ... წრეულსაც დაჰპატიჟებს უთუოდ... ეჰ, იმდენ ოთახებში ერთს რომ მოგვცემდნენ...—თეკლე ჩაჩუმდა. მოსეც იჯდა ჩუმად, შემდეგ ამოიოხრა და გავიდა გარედ.

ზამთარში მელო გარედ აღარ გამოდიოდა. იჯდა და იჯდა ოთახში ტახტზე. ერთ დღეს კარი გაიღო და ოთახში შემოირბინა სახლის პატრონის ქალმა, პატარა თამარმა. თამარი მხიარული, ქერა თმა-გაშლილი, ლურჯთვალა გოგონა იყო. ტანზე ცისფერი პალტო ეცვა, თავზე თეთრი რბილ-ბეწვიანი ქუდი ეხურა და ამნაირივე ხელების სათბუნებელი ჰქონდა. შემოვიდა თუ არა, ერთ წამს შეჩერდა, მოიჭმუხნა, თვალებში სიბნელე მოხვდა და დახუჭა, მაგრამ სწრაფად ამოიფშვნიტა და ისევ გაახილა, დააკვირდა იქაურობას და გაარჩია იქვე კედელთან ტახტზე მელო და გაიცინა.

— თამარ!..—შეჰყვირა მელომ და გაფართოვებულის, გახარებულის თვალებით შესცქეროდა. სიხარულისაგან ხმა ვეღარ ამოელო.

— მელო, იცი, ხვალ საღამოს ჩვენსა უნდა მოხვიდე, შობის ხეს ვმართავთ... საჩუქარიც იქნება შენთვის .. ძალიან სასარგებლო... ხომ მოხვალ?—დაეკითხა, ერთ წამს ჩამოჯდა მელოსთან და მოჰკიდა ხელი.—იცი ..

— თამარ!—გაისმა ხმა.

— ოჰ, დედა მეძახის... მელოდება... სავაჭროდ მივდივართ, —სთქვა თამარმა და გავარდა გარედ.

მელო სიხარულით აღარ იყო: „რამდენ რამეებს ვნახავ,— ფიქრობდა ღიმილით და გული მოუთმენლად უცემდა.—რა მშვენიერი მორთული ნაძვი იქნება, რამდენ ბავშვებს ვნახავ... საჩუქრები... ნეტავი რა იქნება ჩემთვის: კაბა, თუ ღაზლის პერანგები? ოჰ, მეც რომ სირბილი შემეძლოს, სხვასავით მშვენიერ სათამაშოს მივიღებდი.. მაგრამ არა უშავს-რა... შარშან რა მშვენიერი დედოფალა მათხოვა ხელში დასაჭერათ ერთმა პატარა ქალმა... როგორ მღეროდნენ“...—და მელო მოუთმენლად ელოდა მეორე დღეს.

დაბინდდა თუ არა მეორე დღეს, მოსემ აიყვანა თავისი პაწაწინა ქალი, რომელიც ძალიან მსუბუქი იყო და რომლის სიმძიმესაც ვერც კი ამჩნევდა იმის დიდრონი მკლავები. გრძნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა მხოლოდ თავის წვერით შემოსილ ლოყაზე ... ბილ პაწია, ნაზ ლოყას, აბრეშუმივით რბილ ზილფებს და გულ-ი სიამოვნებით ეკუმშებოდა წასვლის ხანს დედაც მოეხვია შვილს, აკოცა და უთხრა:

— მელო, შვილო, როცა ქალბატონმა საჩუქარი გიბოძოს, ხელზე აკოცე.

მოსემ აიყვანა შვილი ზედა სართულში და დიდ დარბაზში შეიყვანა. რა მშვენივრად იყო აქ ყველაფერი მორთულ-მოკაზმული, თითქო სიზმარში ან საზღაპრო ქვეყანაშიაო. ხალიჩები, ფარჩის ავეჯეულობა, ბროლის კანდლები, ბრინჯაო და მშვენიერი სურათები,—ყველაფერი ბრწყინავდა, ლაპლაპებდა და აშუქებდა ყოველ ყურე-კუთხეს. მაგრამ ყველაზე უფრო მშვენიერი და საყვარელი რამ იდგა შუა ოთახში; მაღალი, სულ ჭერამდის ამართული, ვარსკვლავებით, ოქრო-ვერცხლით და ათასნაირ ბჭყვრიალა სანთლებით გაბრწყინებული მწვანე ნაძვი. მხოლოდ შობის ხეს რომ მართავდნენ, მელო მაშინ ამოდიოდა აქ

და მოეჩვენა თითქოს შარშანს აქეთია ეს ხე აქ იდგა და კიდევ უფრო გაიზარდა და გამშვენიერდა. მოშორებით კედელთან იდგა საჩუქრებით სავსე დიდი მაგიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელო დასვეს ხის პირდაპირ ტახტზე. სტუმრებმა იუყეს დენა. მოდიოდნენ ბავშვები, რომლებსაც თან მოჰყვებოდნენ ზოგს დედები და ზოგს მამები. თამარი თმა გაშლილი, თეთრ არშიებიან კაბაში გამოწყობილი დარბოდა, სტუმრებს მხიარულად ეგებებოდა, ყველას ართობდა, ემუსაიფებოდა. თამარის დედა, კეთილი ქალბატონი ელენე, გრძელ, მშვენიერ ფარჩის კაბაში გამოწყობილი, ყველას ართმევდა ხელს, ჰკოცნიდა და იწვევდა შობის ხისაკენ.

— ოჰ, რა საუცხოვო შობის ხეა!

— ოჰ, რა ჰშვენის ელექტრონით განათება.—ამბობდნენ ყველანი, დაინახავდნენ თუ არა ხეს და აღტაცებით შესცქეროდნენ.

დამკვრელი მივიდა როიალთან და დაუკრა საცეკვაო. მუსიკის ხმაზე ბავშვებმა ასტეხეს ჟივილ-ხივილი და, ხელიხელ ჩაკიდებულთ, დაუწყეს ხეს გარს ცეკვა-თამაშით ტრიალი. ერთმა მეზღვაურის ტანისამოსით მორთულმა პატარა ბიჭმა შეამჩნია ტახტზე მელო და საჩქაროდ მიირბინა მასთან.

— გოგონავ, შენ რატომ არ თამაშობ?.. მოდი, მოდი ჩქარა,—უთხარა იმან, მოჰკიდა ხელი და წამოსწია.

— არა, არა... მე... ვერ ავდგები.—უთხრა მელომ და თვალები ცრემლებით აევსო. პატარა ბიჭი გაკვირვებული შეაცქერდა.

— ეჰ, როგორ ვერ ადგები?.. დედა,—მიუბრუნდა იქვე ახლოს მჯდომარე ქალს,—უთხარი ამ პატარა ქალს—ჩვენთან ითამაშოს.

— ოჰ, მართლა,—სთქვა ქალმა,—რატომ არ თამაშობ, გოგონავ?.. ეჰ, რა ერთი ნამცეცა და გამხდარი ბავშვია... მაგრამ რა მშვენიერი... ვისი ხარ შენ, გოგონავ, ჰაა?..

მელო მართლაც მშვენიერი იყო თავის ცისფერ კაბაში. შავი ხუჭუჭი თმა და შავი დიდრონი თვალები თითქოს აშუქებსო იმის პაწია, აღელვებისაგან შეწითლებულ ნაზ სახეს.

— არა, გენაცვათ, მელოს არ შეუძლია თამაშობა,—უთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა თამარის დედამ, რომელმაც გაიგო, როგორც ...
და მოვიდა მათთან, — ეს ბავშვი დაბადებიდან კუტია და ვერ დადის...

— ოჰ, საწყალი! — სთქვა სტუმარმა და თვალებზე ლორნეტი [1]) გაიკეთა, რომ უკეთ დაეთვალიერებინა მელო.

— ვისია ეს უბედური?

— ჩემი მეკარის შვილია... წარმოიდგინეთ, თამარის ტოლია და რა განსხვავებაა ჩემ გოგონასა და მაგას შუა. თითქოს არ იზრდება... მებრალება საწყალი. ექიმსაც ვაჩვენე. ნებას ვაძლევ მეკარეს ცოლ-შვილი თავისთან აცხოვროს, თუმცა ეს ჩემთვის ძალიან უხერხულია. მეკარე სრულიად თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ, აბა, რა ვუყო ამის პატრონს? ხომ ვერ გავაგდებ?!.

— ძალიან გულ-კეთილი ბრძანდებით, ელენე, თორემ, სხვა ვინ შეიწუხებს თავს მეკარის ბავშვისათვის. უთუოდ საჩუქარსაც დაუმზადებდით.

სტუმარმა გაიხედა მაგიდისაკენ.

— რასაკვირველია, მხოლოდ საჩუქარს ამისათვის ყოველთვის საჭიროს და სასარგებლოს ვამზადებ, რომ ცხოვრებაში გამოიყენოს. ჩვენი ბავშვები სულ სხვაა. ჩვენებს საჭიროება არა აქვთ და გასართობი უნდათ, ამათ კი საჭირო საგანი ურჩევნიათ... წარმოიდგინეთ, ჩემი თამარი აქედანვე არა ჩვეულებრივ გულმოწყალეობას იჩენს: თვითონ ჩავიდა და დაჰპატიჟა ეგ ბავშვი.

— ერთობ კეთილი ადამიანი ხართ სწორედ და თქვენი შვილიც თქვენსავით კეთილი იქნება, რაღა თქმა უნდა, — სთქვა ქალმა და ჩამოიღო ლორნეტი.

მეზღვაურის ტანისამოსში გამოწყობილი ბიჭი გულმოდგინედ უგდებდა ყურს ლაპარაკს, მანამ დედამ ისევ არ გაისტუმრა ბავშვებთან სათამაშოდ. მელო სულით და გულით

---

[1]) ლორნეტი — სათვალეა, რომელსაც ტარი აქვს გაკეთებული ხელში დასაჭერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობელი იყო კეთილის ქალბატონისა, თუმცა გულში ბრ ეთანხმებოდა კეთილ ქალბატონს საჩუქრის შესახებ; მელოს ერჩივნა, რომ სათამაშო ეჩუქებინათ, მაგრამ ამისი თქმა ხომ არ შეიძლებოდა, და კეთილმა ქალბატონმა კი ეს არ იცოდა.

ბავშვებმა ბევრი ირბინეს, ითამაშეს, იმღერეს და, როცა გული იჯერეს გართობით, ქალბატონი ელენე მივიდა საჩუქრების მაგიდასთან. ბავშვები გაფაციცებით, მოელვარე თვალებით მიუახლოვდნენ. ყველას სახეზე ცნობის მოყვარეობა იხატებოდა: ნეტა რა საჩუქარი მერგებაო.

ელენემ დაიწყო საჩუქრების დარიგება. თითო ბავშვი თავის წილად ერთს რასმე სათამაშოს, პარკით სავსე კამფეტებს, ტკბილეულობას და ელენეს კოცნას იღებდა. მელოც ტახტიდან კისერ-წაწვდენილი გაფაციცებით შესცქეროდა და მოუთმენლად ელოდა თავის საჩუქარს.

— დედა, დედა! —ჰყვიროდა იქით გახარებული პაწია ქალი,—შეხედე, დეიდა ელენემ რა მაჩუქა.—ხელში თითქმის თავის ტოლა გაცინებული დედოფალა ეჭირა, რომელმაც სიარულიც იცოდა და ლაპარაკიც.

— აბა, დედა, ნახე!—ჰყვიროდა აქა პატარა ბიჭი და მოარბენინებდა დედასთან წითელ ტანისამოსში გამოწყობილ მოცეკვავე დედოფალა ბიჭს.

— აჰა, მამა, მატარებელი... აუზი და გედები... შეკაზმული ცხენი... მყვირალა დათვი, ჭიანური... —ჰყვიროდნენ სხვები ყოველის მხრიდან და ჰქონდათ ერთი სიცილ-ხარხარი და ჟრიამული. ზოგი უკვე შესკუპებულიყო ცხენზე, ზოგი ასრიალებდა მატარებელს, აყვირებდნენ დათვს, ულოლიავებდნენ დედოფალებს.

— ოჰ, რა საუცხოვო საჩუქრები დაარიგა ელენემ! —ეუბნებოდა ერთი სტუმარი ქალი მეორეს.

— სწორედ საუცხოვოა, საუცხოვო!

— ეს შობის ხე ორმოცი თუმანი მაინც დაუჯდებოდა,— ეუბნებოდა იქით ერთი წვერიანი კაცი ერთს ქალს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა არის ელენესთვის ორმოცი თუმანი, ... მდიდარია და ამოდენა სახლები აქვს. ამასთან ისეთი გულკეთილიც არის... ისე უყვარს თავისი თამარი, რომ იმის სასიამოვნოდ არას დაზოგავს... რა კეთილია, ნახეთ, მეკარის კუტი ბავშვიც-კი მოიწვია.—უპასუხა ქალმა და ორივემ მელოსაკენ მიიხედეს. შემკრთალი, შეშინებული მელო საჩუქრების მაგიდისაკენ იყურებოდა, მაგიდა ცარიელი იყო, მხოლოდ ერთი ტკბილეულობის პარკი-ღა იდო ზედ. ელენე ვიღაც კაცს ღიმილით რაღაცას ელაპარაკებოდა. მელოს იმედი დაეკარგა და ის-ის იყო თვალთაგან ცრემლები უნდა გადმოსკდომოდა. რომ ელენემ მოიხედა და დაინახა.

— ოჰ, უკაცრავად,—უთხრა ელენემ კაცს, მოტრიალდა, დაიხარა და ამოიღო მაგიდის უკან, კედელზე აყუდებული ორი პაწია, თავზე მეშ-გადაკრული ყავარჯენი და პარკი და გასწია მელოსაკენ. ახლო-მახლო მდგომნი, ყველანი გაკვირვებულნი ელენეს ამნაირის გულკეთილობით, გამოჰყვნენ კუტი ბავშვისაკენ.

— აი, მელო, შენთვის ძალიან სასარგებლო საჩუქარი,— უთხრა მელოს ტკბილის ხმით ელენემ—ახლა მალე სიარულს დაიწყებ.

მელო შეკრთა, განცვიფრებით დაუწყო ჯოხებს ცქერა... ნუ თუ იმისთანა ბედნიერი ვიქნები, რომ სიარულს დავიწყებ როდისმეო... ეს ჯოხები რა სასარგებლო უნდა იყოს, ნეტავი?

— ჩამოართვი, ჩამოართვი... მადლობა მოახსენე... ხელზე აკოცე კეთილ ქალბატონს!—მოესმა მელოს აქედ-იქიდან. ელენემ ამასობაში დააწყო ბავშვის გვერდით ტახტზე ყავარჯნები და მიადვა პირზე ხელი საკოცნელად. მელო ისე იყო დაბნეული, ელენეს ნათქვამით, რომ ველარ მოასწრო მოეფიქრა ხელზე კოცნა; ელენემ ხელი უკანვე მიიღო და გატრიალდა. მელომ მხოლოდ ახლა გაიგონა სიტყვები: „ხელზე აკოცე“, მოაგონდა დედის დარიგებაც და გულმოდგენით აკოცა, მაგრამ საკოცნელი ხელი უკვე შორს იყო და კოცნა ჰაერში გაისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველამ გაიხარხარა. შერცხვენილმა მელომ თავი ქერს დახარა. ერთმა მხიარულმა ქერაქალმა თავზე ხელი გადაუსვა და წარმოსთქვა:

— საყვარელი გოგონაა, კარგი!

მუსიკა გრიალებდა.

ბავშვების ერთი ჯგუფი მწყობრად და საამოდ გალობდა. უცებ მელოსთან გაჩნდა მეზღვაურის ტანისამოსით ცქრიალა ბიჭი და ალერსიანად ჰკითხა:

— აბა, მაჩვენე, რა სათამაშო მიიღე?

— აი,—მელომ აჩვენა ყავარჯნები.

— განა ეგ სათამაშოა!...

— არა, ეს სასარგებლოა.

ბიჭმა არაფერი სთქვა. ცოტახანს მდუმარედ შესცქეროდა ყავარჯნებს, შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, სწრაფად გამოიწვდინა წინ ორივე ხელი, რომლებშიაც თავისი საჩუქარი ეჭირა.

— შეხედე,—უთხრა მელოს,—შეხედე, მე რა მივიღე!—ეს იყო მშვენიერი, ფერადებით დასურათებული წიგნი: ყველა ქვეყნის პირუტყვი, ფრინველი და მწერი შიგ ეხატა.—აი, ეს შენთვის მიჩუქებია... მე ბევრი მაქვს,—დაუმატა და ჩაუდვა წიგნი კალთაში. მელოს თვალები გაუშუქდა, სიხარულით შეტოკდა, ორივე ხელი გაუწოდა პატარა ბიჭს, თითქოს მადლობის ნიშნად უნდოდა მოხვევნოდა, მაგრამ ბიჭი თითონ დაიხარა, მოეხვია და აკოცა.

— ჩაი, ჩაი მიირთვით, მობრძანდით!—გაისმა თამარის წკრიალა ხმა და ბავშვები სიცილით გაჰქანდნენ სასადილო ოთახისაკენ. უშველებელი დარბაზი ერთ წუთს დაცალიერდა. მოსამსახურემ ჩააქრო უკანასკნელი სანთლები შობის ხეზე. თუმცა ელექტრონის ფარნები ისევ ვარსკვლავებივით ბრწყინავდა ზედ, მაგრამ ხემ თითქოს ოდნავ მოიწყინა, ისე მხიარული აღარ იყო. შემოვიდა მელოს მამა, აიყვანა თავისი გოგონა და წაიყვანა ქვევით, თავის ოთახში, კიბის ქვეშ. იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭმელებით და ტკბილეულობით გაწყობილ პატარა მაგიდაზე უკვე ჩუხჩუხებდა მხიარულად სამოვარი. დედა გახარებული მიეგება, გამოართვა მოსეს ბავშვი, ჩაიკრა გულში და შემდეგ დაისვა გვერდით მაგიდასთან.

— ჰხედავ, მელო, ყველაფერი ეს ჩვენმა კეთილმა ქალბატონმა გამოგვიგზავნა.

— აი, დედა, მე რა მაჩუქა ერთმა მშვენიერმა ბიჭმა,— სთქვა გახარებულმა მელომ და გადაშალა წიგნი, მაგრამ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, დაუმატა:—აი ეს ქალბატონმა მაჩუქა, ძალიან სასარგებლოა,— და აჩვენა დედას ყავარჯნები.

— შეხედე, რა კეთილია ქალბატონი, როგორ ზრუნავს შენთვის; ამით ახლა სიარულს დაიწყებ.

— ამით!—შეჰყვირა ბავშვმა, - მაშ ეს მომირჩენს ფეხებს?.. რა ბედნიერი ვიქნები! დედა, მამა, მომირჩენს?—მოტრიალდა და მოეხვია მამას. დედას თვალები ცრემლებით აევსო და, რომ არ შეემჩნევინებინა შვილისათვის, ადგა და კუთხეში რაღაც ფუსფუსი დაიწყო. მამასაც ცრემლები მოებჯინა ყელში, მაგრამ თავი შეიმაგრა.

— იცი, მელო...—და მამამ დაუწყო ახსნა, თუ როგორ დახმარებას გაუწევდა ყავარჯენი სიარულში.

გაისმა ზარის წკარუნი. მოსემ სწრაფად შეიკრა გულზე მეკარის ტანისამოსი და გავარდა გარედ. კიბეზე გაისმა ფეხების ბრახა-ბრუხი. მიდიოდნენ ნასიამოვნი ბავშვები შინ და მოდიოდნენ ვახშმად დაპატიჟებული სტუმრები.

— ეჰ, მე მეგონა მომირჩებოდა,—სთქვა მელომ, მაგრამ ესეც კარგია .. კეთილი, კეთილი, მშვენიერი ქალბატონი, როგორ ზრუნავს ჩემთვის!—და ალერსით უსვამდა ხელს ყავარჯენებს.

გვიან, თითქმის გათენებისას, როცა სტუმრები დაიშალნენ და მოსე ოთახში შემოვიდა დასაძინებლად, მაშინვე მივიდა, დახედა თავის ბავშვის მკრთალს, გამხდარს, მაგრამ გა-

ღიმებულ სახეს, იქავე ყავარჯნები დაინახა და ნელა, გულ-
მტკინეულობით წაიბუტბუტა:

—რა საყვარელია... და, ღმერთო ჩემო, სამუდამოდ კი
კუტი... კეთილი, კეთილი ქალბატონი, დაჰპატიჟა, ასიამოვ-
ნა... ოჰ, რა მეშინოდა და ვარიდებდი ყავარჯნებს... მეგო-
ნა...—ის ერთს წუთს შეჩერდა,—ოჰ, ერთ ხეირიან ოთახს
რომ...—აღარ დაამთავრა აზრი, გააქნია თავი და მიბრუნდა
ტახტისაკენ, სადაც იმისთვის ლოგინი იყო გაშლილი.

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საზღვარგარეთ

(მოგონებანი და შთაბეჭდილებანი)

I

მ ათიოდე წლის წინად ინგლისში გ ვემგზავრე. გემით წავედი. პეტერბურგიდან ბალტიის ზღვით ჰელსინგფორსში (ფინლიანდია) და კოპენჰაგენში (დანია), შევლით ჩრდილოეთ ინგლისში მდებარე ნავთსადგურ ღულში ჩავედი. ჰელსინგფორსში 5 – 6 საათი იდგა ჩვენი გემი და მეც ვისარგებლე ამ გარემოებით და დავათვალიერე ფინლიანდიის დედა-ქალაქი. შევდგი თუ არა ფეხი ქუჩაში, იმ წამსვე ვიგრძენ, რომ რუსეთში აღარა ვარ. სისუფთავე. გარეგნული მოწყობილობა, ხუროთ-მოძღვრება და ყოველივე ის, რაც ახასიათებს და განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ქალაქს, აქ სულ სხვა არის, ვიდრე რუსეთში. შესანიშნავი არა ვნახე-რა. არც უნივერსიტეტი, არც სენატი, არც სხვა რამ დაწესებულებამ თუ ძეგლმა ჩემი ყურადღება არ მიიპყრო. ყოველივე სადა, ზომიერი და მკვიდრია. აშკარაა, ამ ქალაქში ხალხიც სადა და მკვიდრია. ერთმანეთის ნდობა დიდია. ტრამვაიზე „კონტროლიორები“ თავს არ გაბეზრებენ. მაღაზიასა თუ ბაზარში იმას არ უყურებენ, რომ უცხო ხარ და არ გყვლე-

ფავენ. ერთ სარძევეში შევიარე. ქალს, რომელმაც ლეგ ძრ-
მიტანა, რუსული არ ესმოდა. ხურდა ფული რომ მომცა, გავ-
კვირდი, ასე ცოტა რომ აიღო და მგზავრს ორიოდე შაური
მეტი არ ამწაპნა.

ჰელსინგფორს რომ გავშორდით, ზღვა ძლიერ აღელვე-
ბული იყო. გემი ხან მაღლა ადიოდა, ხან თითქოს უფსკრულ-
ში ვარდებოდა. ერთის საათის შემდეგ მოგზაურები, ზღვის
ავადმყოფობით დაშინებულნი, კაიუტებში მიიმალნენ. მეც
ცუდად გავხდი და ლოგინს არა ვცილდებოდი. სამი დღე და
ღამე გაშოტილი ვიყავ, ფეხზე დგომა შეუძლებელი იყო.
ერთხელ ვცადე, წამოვდექი და ორი ნაბიჯი გადავდგი. ამ
დროს ჩვენი გემი ტალღას საშინელ სიმაღლეზე აეყვანა და
ზევიდან დაქანებული თითქოს მუხლ-მოკვეთილი ჩაწვაო, ხო-
ლო გზაზე შეეჯახა გვერდელა ტალღას, ერთ წამს შედგა,
მერე შეტოკდა, დაბარბაცდა და მარცხნივ დაიხარა ისეთის ძა-
ლით, რომ თქვენი მოწონებული ძირს გავიშხლართე და სა-
წოლის რკინის ფეხებს მაგრა წავავლე ხელები—აქედამაც სხვა-
გან არ გადამისროლოს-მეთქი. ბოლოს, როგორც იყო, სა-
წოლზე ავცოცდი, ტყავის სარტყელნი, რომელნიც საწოლს
აქვს მობმული, კარგად გავამაგრე და ვიწექი სულგანაბული,
იმის მოლოდინში, რომ გააფთრებული ზღვა ჩვენს პატარა
გემს ან კლდეს მიახეთქავს, ან გადაატრიალებს და ჩასძირავს
ზღვის უფსკრულში-მეთქი.

ასე ვიარეთ სამი დღე. ბოლოს, როგორც იყო, კოპენ-
ჰაგენის ნავთსადგურს მივადექით. ძალზე წვიმდა და ქალაქი
ნესტიან ჯანღით იყო მოცული. ზღვაში ნავები დასცურავ-
დნენ. მენავეებმა გამაკვირვეს. ბევრს პიჯაკები ეცვა, თავზე
„კოტელკები“ ეხურათ. ზოგს დიდი ქოლგა ჰქონდა გაშლილი
და იქვე აშვერილ ხეზე მიკრული. უჩვეული მგზავრი ამ მუშა
ხალხს „ბატონებისაგან“ ვერ გაარჩევდა. ნავთსადგურში ტევა
არ იყო. დიდძალი მუშა ირეოდა. ზოგი მუშაობდა, გემებს
სტვირთავდა, ზოგი მგზავრების „ჩემოდნებს“ ეზიდებოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმრავლესობა კი მუშაობის ძებნასა და მოლოდინში იყო. აქ უფრო ახლო ვიყავ და დავაკვირდი ამ „სერთუკიან“ მუშებს. და მივხვდი, რომ „პიჯაკიც“ არის და „პიჯაკიც“. ჩემს თვალწინ წარმოსდგა ადამიანი, დაფლეთილ „შტაცკურ“ ტანისამოსით მოსილი; დაგრეხილ, ძირებ-დახვრეტილ დიდრონ, ტლაპოში მოსვრილ ფეხთსაცმელში გამოწყობილი, იგი „ბატონის“ და „ჯენტლმენი“-ს აჩრდილს წარმოადგენდა. შორიდან კი ყოველივე ეს არა სჩანდა; არც ის სჩანდა, რომ უმრავლესობას დაღლილი და ფერ-მიმკრთალი იერი ჰქონდა. აშკარაა, ეს ის ბრბოა უჭმელ-უსმელი, უმუშევრად მოწანწალე, არაყის მოყვარული, ზნეობრივად და ფიზიკურად დასნეულებული მუშა ხალხის ის ნაწილია, რომლის რაოდენობა ასე დიდია ევროპის ყველა დიდ ქალაქში. ლონდონში უფრო ახლო გავეცან ამ ხალხს და ამის შესახებ ქვემორე მექნება ლაპარაკი.

კოპენჰაგენში ჩვენი გემი დიდხანს არ იდგა. და მეც ჩამოსვლა ვერ გავბედე, თუმცა ძლიერ საინტერესო იყო ჰეფდინგის [1]) და გეორგ ბრანდესის [2]) სამშობლო დედა-ქალაქი. გავედით თუ არა ზღვაში, ისევ ის განმეორდა, რაც უკვე გამოვცადე. ასე რომ ინგლისში მისვლამდე სულ მწოლარე ვიყავ და მარტო შავი ყავით ვიკვებებოდი. ერთხელ-კი წამოვდექი. მითხრეს, გრენლანდიის კუნძული მოსჩანს შორიდანაო. როგორც იყო, ზევით, ბაქანზე ავცოცდი. მაგრამ, მართალი გითხრათ, ჯანლის მეტი და ნაცრისფერ ცისა და ზღვის მეტი მე იქ ვერა ვნახე რა და ისევ ჩემს კაიუტაში ჩავედი.

მეოთხე დღე გათენებული იყო, ღულის ნავთსადგურში რომ შევიდა ჩვენი გემი. ზღვა ძალიან მიყვარს, მაგრამ მკვიდრ ნიადაგზე ფეხი რომ შევდგი, ცოტა არ იყოს, თავისუფლად ამოვისუნთქე. ვისაც თავბრუ ესხმის გემის ქანაობისაგან და იძულებულია გაშოტილი იყოს და უჭმელიც, (რადგან გუ-

[1]) ფსიხოლოგოსი და ფილოსოფოსია.
[2]) პუბლიცისტი და სალიტერატურო კრიტიკოსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის რევა იცის ზღვამ), იმისთვის იკარგება ზღვის ... რება და მომხიბვლელობა. ამ შემთხვევაში აზვირთებულ ზღვის ნახვა, ნიჭიერ მხატვრის ტილოზე გადაღებული, გაცილებით მეტ სიამოვნებას აძლევს ადამიანს, ვიდრე ამ შფოთიან ზღვაზე მოგზაურობა გემით, რომელსაც ტალღა ნაფოტივით ხან აღმა ისვრის, ხან დაღმა. ერთის სიტყვით, გამეხარდა ინგლისში რომ მივედი და რკინის გზის სადგურისაკენ გავეშურე ლონდონში წასასვლელად.

ერთ საათს შემდეგ მატარებელში ვიჯექი, რომელიც საოცარის სიჩქარით მიგვაქანებდა ლონდონისაკენ. რკინის გზის საქმე კარგად ყოფილა მოწყობილი. მატარებელში სამი კლასია. ვაგონები კუპეებათ არის გაყოფილი და შესავალი ერთ მხრიდან აქვს. კლასებს შორის დიდი განსხვავება არ არის. ყველგან რბილი ბალიშებიანი დივნებია. კედლებზე სურათებია გაკრული. პირველ და მეორე კლასში მეტი სისუფთავეა, ეს არის განსხვავება. კუპე, საცა ვისხედით, დაგვიკეტეს და მხოლოდ იშვიათ სადგურებზე, საცა მატარებელი ერთის წამით დგებოდა, აღებდნენ—ისიც მგზავრების შესაშვებად. შორს მანძილზე სიარული ამგვარ მატარებელით მოუხერხებელია. და ამ შემთხვევისთვის სხვაგვარი მატარებელიც არის ინგლისში, იმისი მსგავსი, როგორც რუსეთში—კარიდორებიანი და სხვა საჭირო მოწყობილობით. მაგრამ ამგვარ მატარებლის რიცხვი მცირეა. არც არის საჭირო, რომ ბევრი იყოს. მთელ ინგლისს ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე 8—10 საათში მოივლი. და ღულიდან ლონდონამდე 5 საათის სავალია. გზაში ბილეთი არავინ მოგვკითხა. ვაგონიდან ჩამოსვლის დროს ართმევენ მხოლოდ ამ ბილეთებს. ბარგის გადატან გადმოტანაც გაადვილებულია. ვაგონში დიდ კალათას ან მძიმე ჩემოდანს არ შეგატანინებენ. და ამით არას დაჰკარგავთ, რადგან თქვენს ბაგაჟს განსაკუთრებულ ვაგონში სდებენ. ზედ მხოლოდ კვიტანციას აკრავენ; ზედ დაწერილია, სად უნდა იყოს ჩამოღებული ეს ყუთი თუ ჩემოდანი. ადგილზე მისვლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანავე, თქვენ თვითონ მიხვალთ, უჩვენებთ „პორტერს“ თქვენს ბარგს და არხეინად მიდიხართ. არც კვიტანცია, არც შემოწმება, არც დავი-დარაბა.

ესეც ლონდონი, უზარმაზარი, უსაზღვრო გროვა ადამიანთა. ქალაქს არავითარი ფორმა არა აქვს, რადგან მეტად დიდია. ადამიანი ადვილად ვერ ითვისებს. ათასჯერ გაიარეთ ერთი და იგივე ადგილი, ათასჯერ დაგებნევათ გზა-კვალი. დიდრონ ქუჩებზე ხალხი, ეტლი, ომნიბუსი ისეა მოზღვავებული, რომ ადამიანის გინდ ომნიბუსის ინდივიდუალურ გამოსახულებას ვერ ჰხედავთ,—ყოველივე იმალება, ქარწყლდება საერთოდ ამოძრავებულ მორევში. მოძრაობა ქუჩისა ორის მხრით სწარმოებს. ყოველივე და ყველაფერი ერთი მეორეს მისდევს. ომნიბუსები ერთის ვერსის მანძილზე არიან გამწკრივებულნი. კონდუქტორები თითქოს გრამოფონიდან ამოსულ მყეფარე ხმით იწვევენ მგზავრებს—„ლანდან ბრიჯ“, „სენპოლს კათიდრალ“, „რეჯენ სტრით“... და სხვა—გაჰკივიან ქუჩების, ტაძრების და ხიდების სახელებს. კაი გმირობა უნდა ქუჩის ერთის მხრიდან მეორეზე გადასვლასა. ვერც მოახერხებთ, უკვე არსებულ წესს რომ არ დაემორჩილოთ.

განსაზღვრულ ადგილებში (განსაკუთრებით იქ, საცა ბევრი სხვა ქუჩა ერთმანეთს ხვდება და უერთდება), სდგას უზარმაზარი „პოლისმენი“ (გოროდოვოი). „პოლისმენს“ პატარა ჯოხი უჭირავს ხელში. ასწევს თუ არა მაღლა ამ ჯოხს, მთელი ეს უთვალავი მოძრავი გროვა ადამიანებისა, ეტლებისა და ომნიბუსებისა, როგორც ერთი ადამიანი, ერთბაშად შესდგება. და მაშინ შეგიძლიანთ გადახვიდეთ ერთის მხრიდან მეორეზე. პატარა ხანს უკან „პოლისმენი“ ისევ ანიშნებს ჯოხის აწევით და ისევ შეინძრევა დროებით თითქოს დამბლად ჩავარდნილი და გაშეშებული ხალხი და ისევ განაგრძობს თავის საქმიან მსვლელობას. ახლა აუარეთ დიდ ქუჩას გვერდზე, შეუხვიეთ პატარა ქუჩაში და ერთბაშად იგრძნობთ თქვენს თავს უდაბურ ტყეში. ვიწრო და ბნელ ბილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კების მაგვარ ქუჩების რიცხვი უსაზღვროა. ყოველ-ნაბიჯზე სავაჭრო სახლების საწყობებია, სადაც განუწყვეტელი დატვირთვ-გამოზიდვის მუშაობა სწარმოებს. დიდი გამჭრიახობა უნდა, აქ ადამიანი არ დაიბნეს, და ისევ დიდ ქუჩაში გამოვიდეს, მაგრამ აქაც თქვენი მსხნელი იგივე „პოლისმენია". ჰკითხავთ, მოკლედ მოგიჭრის: „სტრაიტ, ტარნ ანდი ლეფთ" (პირდაპირ, მარცხნივ შეუხვიეთ) ან სხვა რამ ამგვარი. ამ პოლისმენების შემწეობით ყოველსავე მოაწყობთ, ენაც რომ არ იცოდეთ. ოღონდ ბარათი წააკითხეთ. ზედ წააწერს და სხვა პოლისმენთან გაგგზავნით. უკანასკნელიც წააწერს რაღაცას და ამგვარად მოგაძებნინებენ, რაც გესაჭიროებათ, დაწესებულებაა, სადგური, მაღაზია, თუ კერძო ადამიანის ბინა.

ლონდონში დიდხანს არ დავრჩი. მეშურებოდა სოფლად გასვლა, სადაც მეგულებოდა ერთი საყურადღებო რამ, რომლის გაცნობა და შესწავლა საინტერესოდ მიმაჩნდა. იმ ხანად ინგლისში ტოლსტოის ნაწერებს დიდის ყუოადღებით ეკიდებოდნენ. ტოლსტოის იქ მოწაფენიც გაუჩნდნენ და ამ მოწაფეებმა დააარსეს კოლონია, სადაც ერთად დაიწყეს მიწის შემუშავება. ამ კოლონიის სვე-ბედი მინდოდა გულით გამეცნო. და მეც გავსწიე ესეკსში, სადაც სოფელ პერლი—კოკლაკსში ახლად ბინას იკეთებდა ხსენებული კოლონია. იმ ხანებში, როდესაც მე მოველი, საქმე დასაწყისში იყო. სოფელ კოკლაკსში კოლონისტებმა იყიდეს პატარა ადგილი. ამ ადგილზე სახლს აშენებდნენ და მიწის დამუშავებასაც მიჰყვეს ხელი. კოლონია რიცხვ-მრავალი არ იყო. შესდგებოდა ათიოდე კაცისაგან. ხოლო ამ კოლონიის ახლო მახლო ადგილებში შეიკრიბნენ და დასახლდნენ ამ მოძრაობის თანამგრძნობნი. ესენი იყვნენ ცოლშვილიანები—მისტერ მოოდ, ტოლსტოის თხზულებათა ინგლისურ ენაზე მთარგმნელი, მისტერ კენვორდი, ცნობილი მწერალი და ორატორი და სხვანი. აქვე დაბინავდა ზოგიერთი რუსიც. კოლონისტების უმრავლესობა ინტელიგენტი ხალხი იყო. მუშაობას არ იყვნეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჩვეულნი და ძლიერ მინდოდა მათის საქმიანობის დაკვირვება ნახვა. იდგნენ პატარა „კოტეჯებში“ (სახლებში) ორ-ორი, ან სამ-სამი ერთად. სადგომი ბინა ყველას სუფთად ჰქონდა შენახული. არავითარი მორთულობა არ ჰქონდათ, ხოლო თითქმის ყველას „ეტაჟერკაზე“ მწკრივად ელაგათ ლამაზ ყდებით შეკაზმული წიგნები. ყველას ჰქონდა ტოლსტოის თხზულებანი. ამერიკელი მწერალი ემერსონიც ხშირად მხვდებოდა და ამასთან შელლის პოეზიაც. სანამ საერთო ბინა არ ჰქონდათ, ცალკ-ცალკე სადილობდნენ. ხორცს არა სჭამდნენ, მარტო მცენარეულობას სჯერდებოდნენ, კარაქს, კვერცხს და ხილს, განსაკუთრებით ვაშლს. ერთი კოლონისტი სახელად ედუარდი ვაშლის და პურის მეტს არასა სჭამდა. ედუარდი პროფესორად ნამყოფი იყო. სადა და უბრალო წესი ცხოვრებისა უფრო მოსწონდა; დაუნებებია თავი თავის პროფესიისათვის და მიწის დამუშავება დაუწყია. ტანისამოსს თითქმის არ იკარებდა. ეცვა მხოლოდ პერანგი და მისი ამხანაგი, ისიც მოკლე, მუხლამდე. ფეხ-შიშველა და თავ-შიშველა დადიოდა. თმა დიდი და ხშირი ჰქონდა და წვიმისა, ქარისა და მზისაგან მეტად გამაგრებული და გაბურძგვნილი. კოლონისტები დილით ექვს საათზე გადიოდნენ სამუშაოდ და მუშაობდნენ საღამოს 6 საათამდე. მუშაობდნენ დინჯად და აუჩქარებლივ. ორის თვის შემდეგ სახლი ააგეს, საცა დააბინავეს ცოლშვილიანი წევრი კოლონიისა და აქვე იკრიბებოდნენ კვირაობით. კვირაობით იკრიბებოდნენ აგრედვე თანამგრძნობლებთან, განსაკუთრებით მისტერ მოდთან, რომელსაც აქვე ახლო კარგა მოზდილი სახლი ეჭირა.

მე დავბინავდი ერთ ბებერ მუშის ოჯახში. ოჯახის პატრონი ავადმყოფი კაცი იყო, ვერც კი დადიოდა. სუსხიან დღეებში დილიდან საღამომდე იჯდა ბუხართან. ცოლი და ქალიშვილი ფუსფუსებდნენ სახლში და პატარა ბოსტანში, რომელიც სახლის კარებზე ჰქონდათ. ოჯახი ღარიბი იყო. სამი მოზრდილი ვაჟი ლონდონში მუშაობდნენ და ცოტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტას ეხმარებოდნენ დედ-მამას. გარდა ამისა მოხუცს-ებმა-რებოდა აგრედვე სოფლის საზოგადოება (ფერიშ). ჩემი დაბინავება გაეხარდათ. თუმცა ცოტას მართმევდნენ, მაგრამ ეგეც დახმარება იყო ღარიბ ოჯახისთვის.

აქ რომ დავბინავდი, დავაკვირდი ინგლისის სოფელს. გარეგნობით მოწყობილია. კარგი გზებია, ყველგან ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებია, მივარდნილ სოფლებშიაც-კი მოიპოვება ფოსტის ყუთი. წერილები დღეში ორჯელ მოაქვთ. პოლიცია, გზირ-ბოქაულები არავის აწუხებს. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნობაა. შიგნით რომ შეიხედოთ, გაოცდებით, რომ ამისთანა დაწინაურებულ ქვეყანაში ასეთი სიღარიბეა. ინგლისში სოფელი და სოფლის მიწა დიდ მემამულეებს ეკუთვნის. მიწას იჯარით აძლევენ ფერმერებს და მიწად-მომქმედთ. ფერმერები უმეტესად საშუალო შეძლების ხალხია. მიწას დიდი ვადით ჰქირაობენ. ჰყავთ მოჯამაგირენი. მოჯამაგირე უმიწაწყლო სოფლის მუშაა. მათი რიცხვი დიდია. კვირაში იღებენ 13 შილინგს (შილინგი=50 კ. 13 შილ=6.50). იტყვიან, კარგი ფასიაო, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ამ ფულით სახლკარიც უნდა დაიქირაოს და ოჯახიც შეინახოს. და ოჯახის შენახვა-კი ინგლისში ადვილი საქმე არ არის. გირვანქა ხორცი ღირს ათი შაური და თითო კვერცხი 5—6 კაპეიკი. ასე რომ უფრო კარტოფილზე გადადიან და, რადგან კარტოფილი მუცელს ამძიმებს და არ აძღობს, ამიტომ ხალხი ნახევრად დამშეულია. ამ რიგად სოფლის მცხოვრებნი შესდგებიან ფერმერებისა (უმცირესობა) და მუშებისაგან. მაგრამ უბრალო მუშის სახლში რომ შეხვიდეთ, იქ სიღარიბეს ვერ დაინახავთ. ხერხიანად არის დამალული. მოწყობილობა რიგიანია. კამოდი, შკაფი, კარგად გამართული განიერი საწოლები, ფარდები, ხალიჩა. რამდენიმე წიგნი და ყოველთვის სახარება და დაბადება – ყოველივე ეს ყოველ მუშის ოჯახში არის. ბევრს მოსდის იაფფასიანი კვირეული გაზეთი (ღირს 2 კაპ. და შიგ 30 გვერდია). ფანჯრებში ყვავილებია და ფარდაც სწორედ იმ

ზომამდეა ჩამოშვებული, რა ზომაზეა იგი ჩამოშვებული ეგ-ზობლის სახლში. ინგლისელებს ერთმანეთის მიბაძვა უყვართ და ყველა ისე სცხოვრობს, გარეგნულად მაინც, როგორც ყველანი. ფანჯარას რომ ფარდა არა ჰქონდეს, დიდი სირცხვილია. ლონდონში ერთ რუსის სახლობას არ გაეკეთებინა ფარდები. მთელე უბანი აშფოთდა. შეუთვალეს, ჩვენ გიყიდით ფარდას, თუ ღარიბი ხართ, ეს კი შეუწყნარებელია, რომ გამვლელ-გამომვლელი ჰხედავს ყოველივეს, რაც თქვენს ოჯახში ხდებაო. ოჯახის პატივი დიდი აქვს ინგლისელს. ისე ადვილად თავის ოჯახში არავის შეიპატიჟებს, როგორც ჩვენში იციან. თუ კარგად არ გაგიცნო, არ მოგეკარება. და თუ გაგიცნო, დაგიმეგობრდება, ხოლო ჩვენებურად არა, არამედ ნამდვილად, ნამდვილ მეგობრობას და პატივის ცემას გაგიწევს.

როგორცა ვსთქვი, კოლონისტები კვირაობით ერთად იკრიბებოდნენ. ერთი მეორის დახმარებით დაამზადებდნენ სუფრას ჩაის სასმელად. გრძელ მაგიდაზე გაამწკრივებდნენ ფინჯნებს, დაალაგებდნენ პურს, ყველს, კარაქს და მურაბას. მაგიდას რომ მიუჯდებოდნენ, ყოველი ჯერ იმასა სცდილობდა მეზობლისთვის მიეწვდინა რაიმე, ან ყველი ან კარაქი, ან მურაბა. განუწყვეტლივ ერთი და იგივე სიტყვა-პასუხი ისმის: გნებავთ ჩაი, გნებავთ პური? „იეს, თენკ-იუ“ „ნოუ, თენკ-იუ“ (კი, გმადლობთ, არა, გმადლობთ). რომ გაათავებდნენ, ყველა შეუდგებოდა ჭურჭლის დასუფთავებას და სუფრის ალაგებას. სწრაფად, ნახევარ საათში ყოველივე იყო დაწმენდილ-დაკრიალებული და თავის ადგილზე დალაგებული. ხანდისხან ამგვარ ჩაის სმას გარედ მწვანეზე გამართავდნენ ხოლმე. და აქ ჰაერის ზედგავლენით და ცის ქვეშ თავისუფლად ყოფნის წყალობით უფრო მხიარულად და გულახდილად საუბრობდნენ. ერთად შეყრილ კოლონისტებს უყვარდათ სჯა-ბაასი და აზრთა ერთმანეთში გაზიარება. ლაპარაკი ინგლისელებმა დინჯი იციან. არავინ გაგაწყვეტინებს, არა-

ვინ შეგიშლის აზრს, ყველანი ჩუმად და პატივისცემით უგ-
დებენ ყურს მოლაპარაკეს. და სანამ არ გაათავებს, წინააღ-
მდეგ აზრს არავინ იტყვის. კარგ მთქმელს კარგი მსმენელი
უნდაო და ეს სწორედ ინგლისელებზეა ნათქვამი. სჯა-ბაასის
გათავების შემდეგ, კოლონისტებს ჩვეულებადა ჰქონდათ გა-
ლობა, ფისგარმონს ააყოლებდნენ ხმებს და გალობას ყველა
ერთხმაზე ამბობდა. მართალი გითხრათ, ეს გალობა არ მომ-
წონდა. აბა, ერთხმაზე ნათქვამი გალობა რა უნდა ყოფილიყო.
მაგრამ ინგლისლებს ძალიან მოსწონდათ. უცნაური რამ შე-
ვამჩნიე ინგლისში. იქ ყველა მღერის და პიანინოს ცოტ-
ცოტას ყველა უკრავს. მუსიკალური გემოვნება-კი სრულიად
განუვითარებელია. საზოგადოების წინაშე ისეთები გამოდიან
სასიმღეროდ, რომ ჩვენში შეუძლებელია ამგვარი გაბედულება.
იქ-კი არ ვიცი, გადამეტებულ თავაზიანობით, თუ გემოვნე-
ბის განუვითარებლობით ყველა „თენკ-იუს“ (მადლობას) ეუ-
ბნება მომღერალს. მაგრამ სიმღერას გარდა, ჩვენი კოლონის-
ტები ხანდისხან ცეკვასაც მისდევენ. უმეტესს ნაწილად კაცი
კაცს დაებლაუჭებოდა ხოლმე და „პოლკას“ ახტუნავებდნენ.
ამ თამაშობაშიც მაინცადამაინც დიდი შნო არა ჰქონდათ. მაგ-
რამ კოლონისტები კმაყოფილნი იყვნენ გასართობით და მოზრ-
დილ ბავშვებივით შეექცეოდნენ. ასე მუშაობასა, სჯა-ბაასსა და
უმანკო დროს გატარებაში სცხოვრობდნენ წყნარად და დინ-
ჯად ტოლსტოის მიმდევარნი ინგლისში.

არ. ჯორჯაძე



ფუტკარი და მისი ცხოვრება

წერილი მერვე

(უძღვნი ბუტკუჩელა გოგი ვარლამის-ძეს ჭიჭინაძეს).

(შემდეგი)

მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა მუშა
და სხვა გვარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მ„ძახიან,
არ ვ:რ მარტო სამიწეო. აკაკი.

მართვი

ემო მეგობრებო! რამდენადაც შემეძლო, გაგაცანით ფუტკრების გამოჩეკ-აღზრდა, მათი ჭკუა-გრძნობიერება; ბოლოს გაგაგებინეთ, თუ რისაგან რას აკეთებენ სკაში. თუ არ მოგწყინდათ და თავი არ მოგაბეზრეთ, ახლა მსურს გაგაგებინოთ, როგორ მრავლდება ფუტკართა საზოგადოება, ესე იგი, როგორ გადაიქცევა ხოლმე ერთი ოჯახი ორად. თქვენ იცით, როგორ გაიყრებიან ხოლმე ორნი ძმანი, როცა რომელიმე ოჯახი იმდენზე გაიზრდება, რომ ერთად ვიწროობას იგრძნობენ, ან ერთი მეორეს ოჯახის წევრნი ვერ შეეთვისებიან, დაუძახებენ კეთილ-სინიდისიერ, შეგნებულ მეზობლებს და მათ მიანდობენ, რომ ამ მეზობლებმა სინიდისიერად გაუყონ მთელი ოჯახის დოვლათი ოჯახის წევრებს, ისე რომ არც ერთი წევრი არ დაიჩაგროს. ასეთ შუა კაცებს ეძახიან მედიატორეებს. წარმოიდგინეთ, ჩემო ძვირფასებო, ფუტკრის ოჯახობა როცა იმდენზე მოლონიერდება, რომ იგრძნობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწროობას, აღარ ექნებათ ადგილი, სად მოათავსონ თავიანთი ნაშრომი და ჯარ-ჯამაათი, მაშინ იყრებიან, მაგრამ ამისათვის არ სჭირდებათ არც აშლა, არც დაშლა, არც მოციქული და არც მედიატორენი. აი როგორ იყრებიან.

თუ გაიხსენებთ წინა საუბრებს, მოგაგონდებათ, რომ დედა ადრე გაზაფხულზე სდებს მუშა ფუტკრების კვერცხებს; როცა სკა მუშა სულით მოლონიერდება, შემდეგ დედა ფუტკარი აჩენს მამლებს, შემდეგ-კი, როცა სკაში მუშებიც ბლომად არიან, მამლებიც მხიარულად ნადიმობენ სხვის მონაგარით, სკაც გამოჭიკნილია თეთრის, თაფლით სავსე პურებით, ფუტკრები ამბობენ თავიანთ გუნებაში, ჩვენ ხომ ზარმაცები არა ვართ, ტყუილად ხომ ვერ გავჩერდებით; ვიშრომოთ და სად დავტიოთ ნაშრომი; მინდორში ბლომად არის სათაფლე ყვავილები. მაშ, მშრომელო დებო, გავიყარნეთ და შევქმნათ მეორე ოჯახი, დავაარსოთ კიდევ მეორე საზოგადოება. ამ გადაწყვეტილების ასასრულებლად საჭიროა მეორე დედა ფუტკარი, რადგან ფუტკრებს მშვენივრად ესმით, რომ თუ დედა არა ჰყავთ, ისე „ცუდია მათი თათბირი და ყოველი დანაპირები.“ რა ჰქნან? მეორე დედა არა ჰყავთ— ერთს სამეფოში ორი მეფე ხომ არ შეიძლება—ერთი ერთმანეთს დასჭამენ. ჩვენი პაწია მშრომელები ისეთი მიხვედრილი ხალხია, რომ ამისთვის არ დაგიღონდებიან. ხელად მოიფიქრეს და საქმესაც დაუყონებლივ შეუდგნენ; მოაგროვეს ბლომად სანთლის ქერტლი, დაეხვია ძრიელი რაზმი მუშებისა, ფიჭის გვერდულზე ააშენეს მუხის რკოს მსგავსი საკვერცხე— ამ საკვერცხეში დედამ კვერცხი ჩასდო, მუშა ფუტკრები მესამე დღეს გამოჩეკილ ქინქლა პაწია მატლს თვალის ჩინივით უვლიან, ვარს ეხვევიან, რომ არ შესცივდეს ან არ მოშივდეს. კარგად ესმით, რომ ამ პაწია მატლისაგან უნდა აღზარდონ ღირსეული სამეფო პირი, რომელიც შემდეგში უნდა იქმნეს მთელის საზოგადოების დედა, ურომლისოთაც დაიღუპება მთელი ოჯახი, ამოწყდება მთელი საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი საკვერცხე მისთვის გააკეთეს, რომ დედა ახოვანი ბუზანი
გამოვიდეს, მისი სხეული კარგად განვითარდეს და დასრულ-

დედა ფუტკარი.

ცალკე გამოჭრილი დედა ფუტკრის საკვერცხე.

ფიჭის გვერდული ნაჭერი, რომელზედაც არის საკვერცხეები მუშის, მამლისა და დედისა. დედის საკვერცხე ა—საგან დედა უკვე გამომძვრალა. ბ. უკვე დაბეჭდილია, მაშასადამე, მ საგან შემდეგში უნდა გამოვიდეს. გ—ში დედა ფუტკრის მატლი ან მოუკლავთ მუშა ფუტკრებს ან თავისით მომკვდარა, მისთვის ემჩნევა გვერდიდან ნახვრეტი.

დეს, რომ უხვად შეიძლოს კვერცხის დება და მით შთამომავლობის აღორძინება. საუკეთესო ღირსების თაფლს მისთვის აჭმევენ, რომ ადრე დაასრულოს ზრდა, გარეშემო მისთვის ეხვევიან, რომ დაიცვან სიცივისაგან და მოულოდნელ მტრისაგან. ეს ქინქლამატლიც პატივისცემას იფერებს, ჭამაში ღორმუცელობას იჩენს და ძრიელ ადრე მსხვილდება. თავის მატლობის ზრდას ხუთ დღე ნახევარში კიდეც ათავებს (სხვებზე ნახევარ დღით ადრე). ამის შემდეგ იქცევა პარკუჭათ და რვა დღე ნახევარს განისვენებს და მეჩვიდმეტე დღეს, დღიდგან კვერცხის დადებისა, ჰხვრეტს საკვერცხის თხელ სახურავს და ნაზად, მორცხვად, ვით ქალწული, იწყებს გალობას (საკვერცხიდგან ამოცოცებამდე) ტი! ტი! ტი! ეს გალობა გაიგონა ძველმა დედამ—ამდროს კვერცხის დებაში იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გართული, ძაშინვე თავი გაანება საქმეს და გაკაპასებული გაეშურა იქით, საიდგანაც ესმის მისთვის არა სასიამოვნო ხმა. წამსვე მიხვდა, რომ გამიჩნდა ოჯახში მეტოქეო—მიხვდა, რომ გაჩნდა მეორე მეფე. ის ძრიელ თავმოყვარეა, ძრიელ უყვარს თავისი თავი, არა სურს, მის გარეშე სხვაც იყოს მისი მსგავსი. ამისთვის გადასწყვიტა, ჩემის ხელით დავახრჩობ ჩემს ასულს, სადედოფლოდ გაჩენილსაო. როგორ შეიძლება ერთ ცაზე ორი მზე! როგორ იქნება ერთ სამეფოში ორი მეფე! სიკვდილი ერთ ერთს! გამარჯვება, რასაკვირველია, ძველ, ღონიერ დედას დარჩება, მაგრამ „ობლის მამა ღმერთია“. ვინც გამაჩინა, იმან დამარჩინაო, ხომ გაგიგონიათ. აქაც ეგრეა. უმწეო, უბედურ სადედოფლო დედას გამოესარჩლებიან მუშა ფუტკრები—ისინი ძველ დედას წინ გადაუდგებიან და არ აძლევენ ნებას, მოჰკლას მისი მეტოქე. ძველმა დედამ ბრაზისაგან აღარ იცის, რა ჰქნას, მაგრამ რა ჰქნას ერთმა რამდენისამე ათასეულის წინააღმდეგ?! მოგეხსენებათ, ძალა აღმართსა ჰხნავს და ისიც ამ ძალას უნებურად გულმოკლული ემორჩილება, ჰყრის ბრძოლის იარაღს, მაგრამ სირცხვილით იქ ხომ ვერ მოიცდის, სადაც მისი ღლაპი მეტოქეა. ძეტი გზა არ არის, ჩვეულების თანახმად, უარი უნდა სთქვას ძველ დიდებაზე, გადადგეს მეფობიდგან და ტახტი ახალ მემკვიდრეს დაუტოვოს. როგორც ძველმა და გამოცდილმა, უნდა შეჰქმნას ახალი სამეფო, უნდა გამაგრდეს ახალ ტახტზე.

მუშა ფუტკრებიც იყოფიან ორ ბანაკად. ზოგნი რჩებენ დარჩნენ ძველ ბინაზე, ახალ დედასთან, ზოგი ემხრობა ხნიერ დედას. სკაში დიდი მითქმა-მოთქმაა, დიდი ბზუილია... აქვთ ბჭობა-თათბირი. სკაში მუშაობაზე ხელს იღებენ. მუშა ფუტკრები საერთო არეულობის ნიშანს იძლევიან. ის მუშა ფუტკრები, რომლებიც ძველ დედას ემხრობიან, ღონივრად მიაძღებიან თავიანთ ნაამაგარ თაფლს და ფუსფუსით ერთი ერთმანეთს ასწრებენ სკიდგან გამოფრენას. როცა რამდენიმე ათასეული გამოფრინდება სკიდგან, მერმე მათ გამოჰყვება ხნიერი

[illegible] მისი მუცელი ამდროს [illegible]
დედაც. რადგან [illegible] რენაში არ არის გავარჯიშებული, [illegible]
სავსე და, რაკი ის ფ[illegible] იქვე
თვის შორს ვერ მიდის და [illegible]
ახლოს ჯდება ხეზე; მასთან
თავსდებიან მისი თანამოაზრე
მუშა ფუტკრებიც. ამ რიგად,
ხის ტოტზე ჩვენ ვხედავთ მთელ
გროვას ფუტკრებისას ერთი
ერთმანეთზე აკიდოსაებრ მიყ-
რილს. ასეთ ფუტკრების გაყო-
ფას ეძახიან ფუტკრის მართვო-
ბას ანუ, როგორც ჩვენში იტ-
ყვიან, ფუტკარმა იყარაო ეს
არის ფუტკრის პირველი მარ-
თვი. ასეთ მართვს (ანუ ნაყარს)
ეძახიან „ნამთავარა“ მართვი,
რადგან მთავრად ანუ პირვე-
ლად ის გამოვიდა ანუ გაეყო
ძველს ოჯახი (первакъ).

ცაცხვის ხის ტოტი, რო-
მელზედაც მართვი (ნა-
ყარი) მიყრილი.

ნამთავარას მამალი ფუტკრები ნაკლებად გამოჰყვება, რადგან მამლები ყველაზე მეტად იქ არიან საჭირონი, სადაც ახალგაზრდა ქალწული დედა არის. ამისთვის ისინი რჩებიან ძველს სკაში ახალგაზრდა დედასთან. ამრიგად ძველი სკა თავის მთელის მოწყობილობით და ფუტკრების ნაწილით რჩება სამეფოთ ახალგაზრდა ქალწულ დედას. თუ როგორ მოვექცეთ ახლად გაყოფილ მართვს, ამაზე შემდეგ, ჩემო მეგობრებო.

აპ. წულაძე

(შემდეგი იქნება)

თეთრი ყანჩა

(ზღაპარი)

ნ. ტოლეშოვისა

II

ამდენმამე წელმა განვლო მას შემდეგ.

ის ქვეყანა, სადაც იზოლდა დასახლდა, სრულიად არა ჰგავდა მის სამშობლოს. თოვლი აქ არასოდეს არ მოდიოდა; ცისფერი თბილი ზღვა ალერსით ჰბანდა პირს მობიბინე მიდამოებს, რომელიც დაფარული იყო ვენახებითა და ბაღებით. ცხოვრება აქ უფრო საამო იყო, ვიდრე ჩრდილოეთში: ზღვაც უფრო მშვენიერი იყო აქა, ცაც უფრო ლურჯი, ვარსკვლავნიც უფრო მოკაშკაშენი და სიმღერაც უფრო უდარდელი.

მაგრამ ამ სიამეში, ამ ბედნიერებასა და ქმარ-შვილობაშიაც რაღაც დიდი რამ აკლდა იზოლდას. აკლდა სიმშვიდე სულისა და ამიტომაც არაფერი არ ახარებდა. მოენატრა სამშობლოც, მოუნდა ენახა მამაც, რომელიც უკვე სიბერეში შედიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის პირზედვე მოემზადა იზოლდა წასასვლელად და წავიდა კიდეც. მაგრამ რაც უფრო შორდებოდა თავისს სახლს, მით უფრო ძლიერებითა და სიმკაცრით ჰქროდა ქარი, უფრო მეტად იკიდებდა ნილ-ბურუსს ცა, უფრო და უფრო მეტი სიცივე და ყინვა იყო.

იმის სამშობლოსათვის ჯერ კიდევ შორს იყო გაზაფხული, ყინული მხოლოდ ახლა ტყდებოდა ზღვაზე და ნაპირები ისევ თოვლით იყო დაფარული. მაგრამ ნაცნობს ადგილებს რომ მიუახლოვდა, გული სიამითა და სიხარულით აუძგერდა იზოლდას.

როგორ გაუხარდა მეფეს შვილის მისვლა!

— ჩემო ძვირფასო იზოლდა!—ამბობდა მამა და სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა.—მე იმედი აღარა მქონდა, რომ შენს ნახვას მოვესწრებოდი. ვბერდები, ხშირად ავადმყოფობ და მეშინოდა, ვაი თუ ისე მოვკვდე, შვილის ნახვა აღარ მელირსოს მეთქი.

დილიდან დაწოლის დრომდე მეფე თავისს ასულთან იჯდა, ეკითხებოდა მის ამბავსა და თავისასაც უამბობდა.

იზოლდა თავის უწინდელ ოთახში მოთავსდა და ყოველთვის, როცა დასაძინებლად წვებოდა ხოლმე, იგონებდა თავისს ცხოვრებას, ბავშვობიდან დაწყებული დიდობამდე, და სულს სიამე და შვება ეფინებოდა.

*
* *

მთვარიანი ღამე იყო. ძილი არ მოსდიოდა იზოლდას ამ ღამეს. ადგა ლოგინიდან და მივიდა იმ დიდ ფანჯარასთან, რომლიდანაც ზღვის პირად ამართული შიშველი კლდეები სჩანდა, ხოლო იმათ იქით-კი—მისი მშობლური ჩრდილოეთის ზღვა.

„აქაც მალე დადგება გაზაფხული,— ფიქრობდა პირზე ღიმილ მომდგარი იზოლდა.—ყინული დაიძრა .. ჩქარა ხავსი მოედება კლდეებსა... მინდორ-ველი ამწვანდება“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იზოლდა აღტაცებულის თავ-დავიწყებით ეძიებდა შვობისა და ახალგაზრდობის ბრწყინვალე მოგონებას. მოაგონდა აქ გატარებული უკანასკნელი გაზაფხულიც, როცა ჯერ ისევ საპატარძლო იყო, მოაგონდა ყინვიანი ღამეც, ასეთივე მთვარიანი და ნათელი, როდესაც ამ ფანჯარაში იხედებოდა და თავის სამშობლოს ფრად შეხამებულს საქორწილო მორთულობისათვის ოცნებობდა.

„თეთრი კაბა—ვით თოვლი, ნაცრისფერი წამოსასხამი—ვით ზღვა, და თავმორთულობა—ვით ყინულის მობრჭყვიალე ისარ-ფხები“,—ღიმილით იგონებდა იზოლდა.

— რა ახალგაზრდა და რა დაუფიქრებელი ვიყავ მაშინ!

მოაგონდა სასტიკი მოხუციც, რომელმაც წაიცდუნა და საბრალო ყანჩის მოკვლის დასტური დააცემინა. ბევრი, ძალიან ბევრი რამ მოაგონდა ამ წუთას თავის განვლილ ცხოვრებისა.

რამდენისამე ხნის შემდეგ, როდესაც უკვე თავისს ოთახში ეძინა, უეცრად მოეჩვენა იზოლდას, რომ ვიღაცა აღვიძებს, მხარს უნძრევს.

ქალმა თვალები გაახილა. მთელს ოთახს მთვარის შუქი ანათებდა, ხოლო მის ლოგინთან-კი ორი დიდი ფრინველი იყო გაჩერებული. ფრინველებს ნისკარტები ქალის სასთუმლისაკენ გაეწვდინათ და თავიანთ დიდრონის, მწუხარე თვალებით იზოლდას მისჩერებოდნენ.

ერთს ამ ფრინველთაგანს თავზე თეთრის, წმინდა ისრების ფუჩფუჩა ქოჩორი ჰქონდა; მეორეს ნისკარტში ეჭირა ორი წითელი, ვარსკვლავის მსგავსი ყვავილი, რომელთაც ნახშირივით შავი გულები ჰქონდათ.

იზოლდა შეკრთა, საჩქაროდ წამოიწია და ლოგინში წამოჯდა. შიშით თვალები გასდიდებოდა და ისე შეჰყურებდა ფრინველებსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წაიღე ეს ,ვავილები, ბატონის ასულო,—უცბად დაი-ლაპარაკეს ყანჩებმა და მუხლებზე დააყარეს ყვავილები იზოლ-დას. წაიღე. ეგენი ჩვენის ძმების სისხლზე აღმოცენდნენ. შენ მოგიტანეთ, ბატონის ასულო.

გაოცებული და შეშინებული იზოლდა ხმას არ იღებ-და.

— თავისუფლადა და ბედნიერად ვცხოვრობდით,—გა-ნაგრძო ყანჩამ:—ასევე ვიცხოვრებდით კვლავაც, შენ რომ არ გებრძანებინა და არ მოგეკვლევინებინა ერთი ჩვენგანი, რათა ხელთ ეგდოთ იმისი ქოჩორი შენის საქორწილო მორ-თულობისათვის. ეს ქოჩორი მხოლოდ გაზაფხულზე ამოგვდის და გვეზრდება, იმ დროს, როცა ბუდეებს ვაკეთებთ. ეს ჩვე-ნთვისაც იგივე საქორწილო მორთულობაა. იცოდი შენ ესა, ბატონის ასულო?

იზოლდამ თავი ჩაღუნა.

— პირველმა შენ უბრძანე ეშოვნათ ჩვენი ქოჩორი შე-ნის მორთულობისათვის. და მას შემდეგ იწყეს ჩვენთან სტუმ-რობა დიდის ქალაქების მონადირეებმა, დაგვიწყეს ხოცვა ასობითა და ათასობით... ყოველის მხრით ვეძებდით ხსნას, მაგრამ მონადირეთა რიცხვი ყოველ გაზაფხულზე თანდთან მატულობდა, ხოლო ჩვენს რიცხვს კი უფრო და უფრო აკ-ლდებოდა. იცი ესა, ბატონის ასულო?

იზოლდა თრთოდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა, ხოლო ყანჩები კი განაგრძობდნენ:

— გვხოცდნენ უწყალოდ, განურჩევლად. გვხოცდნენ იმ დროს, როდესაც ბუდეებს ვაკეთებდით, როდესაც ჩვენს შვილებს ვზრდიდით! მკვდრები და დაკოდილები ვცვივო-დით ძირს, სისხლი თქრიალით გადმოგვდიოდა, გვწიწკნიდ-ნენ ჩვენს მორთულობას და ჩვენი ბარტყები შიმშილით იხო-ცებოდნენ... ეს არ გიფიქრნია, ბატონის ასულო? და ორივე ყანჩა პირდაპირ თვალებში შესცქეროდა იზოლდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს ამოსწყვიტეს ყველა დანარჩენები... ჩვენ ჯერ-ში ამოვარდა... უკანასკნელი წყვილი ვართ ცოცხალი და მოვფრინდით შენთან, ბატონის ასულო, მოვფრინდით, რომ წაგიყვანოთ და გაჩვენოთ შენი ნამოქმედარი. ჩვენის ძმების სისხლი ჯერ კიდევ არ გაცივებულა, მათი მძორები ჯერ ისევ მიწაზედა ჰყრია... მაშ, გავფრინდეთ და დავხედოთ, გავფრინდეთ ჩქარა. გვინდა, რომ შენის თვალით ჰნახო ყოველივე. ამ ჩვენს სისხლზე ამოსულს ყვავილებს საკვირველი ძალა აქვს. აბა, ხელი მოჰკიდე, ბატონის ასულო.

იზოლდა დაჰმორჩილდა ამ ბრძანებას, ხელში აიღო ერთი ყვავილი და იმ წამსვე იგრძნო, როგორ გამოესხა ფრთები. ქალმა მეორე ყვავილიც აიღო და ჟჩინარი შეიქმნა.

— აბა, გავფრინდეთ!—სთქვეს ყანჩებმა.

ჰაერი გრიგალად იქცა... სადღაც შორს ზღვა შფოთავდა და ღრიალებდა, ქარი ზუზუნებდა, დედამიწა თრთოდა და ზანზარებდა, ცისარტყელა ენთებოდა, ჭექა-ქუხილი ისმოდა...

— გადავხედოთ ქალაქს,—შემოესმა იზოლდას.—ეს ქვეყნის შუა გულია. და ბატონის ასულმა დაინახა ძირს თვალუწვდენელი ქალაქი, მილიონ სანთლებით განათებული.

სხვებისთვის შეუმჩნევლად დაეშვა ამ ქალაქში სამი მგზავრი.

განიერს, ხალხით სავსე ქუჩაზე გამალებულნი დაფუსფუსებდნენ, ერთი მეორეს ასწრებდნენ, მიჰქროდნენ ეტლები, ისმოდა ლაპარაკი, ყვირილი, მხიარული სიცილი. უდარდელი, მორთულ-მოკაზმული ხალხი მაღაზიებთან ჩერდებოდა, ხარბის თვალით მისჩერებოდა განიერს ფანჯრებს, რომლებშიაც მოსჩანდა მუქ ფერ ხავერდზე დალაგებული და ჟჩინარის სინათლით განათებული თეთრი, ნარნარი ბუმბულები, ბრილიანტებით მოოჭვილი.

— რა ლამაზია! რა შეუდარებელი რამ არის!—იძახდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორთულ-მოკაზმული ხალხი და ერთი მეორეს ხელიდან სცემ-
ცებდა და ისე ყიდულობდა ეგრეტებსა*).

ბატონის ასული კი ფიქრობდა: „ეს ჩემი თავმორთუ-
ლობაოო...“

— ჰხედავ, ბატონის ასულო?—ეუბნებოდნენ ყანჩები.—
ჰხედავ, როგორ გაიმარჯვა შენმა მოგონილმა სამკაულმა?
ყველას ახარებს!.. მაგრამ გავფრინდეთ ჩვენსა და იქ გაიგებ
ამ სიხარულის ფასს.

ხელახლად დატრიალდა ჰაერი; ყველაფერი აღრიალდა,
ყველაფერი ახმაურდა ირგვლივ, ყველაფერი დაბნელდა.
იზოლდა გრძნობდა, რომ ხელახლა საშინელის სისწრაფით
მიფრინავდა საითღაც მაღლა, სულ უფრო შორსა და შორს,
ღრუბელთა და გრიგალთა შორის, თვალით განუჭვრეტელს
ღამეში.

როდესაც განთიადმა მოატანა და ცის კიდურთან ბრწყი-
ნვალე მზის ბურთი გამოჩნდა, მგზავრებმა დაინახეს ძირს,
თავიანთ ქვემოდ, მობიბინე ვაკე და დიდის, წყალ მრავალ
მდინარის ნაპირი. მგზავრნი ნელ-ნელა დაეშვნენ ძირს და
ბოლოს თვითონ მდინარეს გადაევლენ ზემოდან. ირგვლივ
გულ-წარმტაცი გაზაფხულის დილა ბრწყინავდა და ელვარებდა.
იზოლდას უცნობი მშვენიერი ყვავილები, რომელიც ძლიერ-
სა და საამო სურნელებას გამოსცემდნენ, უზარმაზარს ხეებ-
ზედ იზრდებოდნენ; მსხვილს ტოტებს მოჰხვეოდნენ და ერთ-
მანეთს ჩახლართვოდნენ მგლინავი მცენარენი, რომელნიც
ეთა კენწეროებს ასცილებოდნენ და იქიდან მჭიდრო გრე-
ხილებად გაბმულიყვნენ ხიდან ხეზედ. ძირს, ჭრელს ხალიჩა-
სავით, გადაშლილიყო ქორფა და სურნელოვანი ბალახი; მდი-
ნარის ნაპირებზე ნარნარ საგალობელს აშრიალებდნენ მაღალი
ლელწამნი. ყოველს მხარეს სითბო, გაზაფხული და ფუფუ-

*) ეგრეტი—ქალის სამკაულია, ფრინველის ბუმბულისაგან გაკე-
თებული.

ნება იხატებოდა, ყველგან სიცოცხლე და მხიარულება გამოსჭვიოდა.

— აქ არის ჩვენი სამშობლო,—სთქვეს ყანჩებმა.—ჰხედავ, ბატონის ასულო, რა მშვენიერებაა ჩვენში გაზაფხული? გესმის თუ არა ნაზი შხაპუნი წყალისა და საამო შრიალი ლელწამთა; ჰხედავ თუ არა ჩვენს ცოცხალს, სურნელოვანს ყვავილებს, ჩვენს ცხოველს მზეს?

— დიაღ,—უპასუხებდა იზოლდა.—არასოდეს არ მინახავს ასეთი მშვენიერი გაზაფხული.

— აბა, იმას ჰხედავ, აი, იქ, ჭილთა შორის ყვავილებთან, ბალახებში, და აი, აქაც, მთლად წყლის ნაპირების გაყოლება და ყველგან, სადაც კი თვალი მისწვდება,—ჰხედავ თეთრს ქულებს?

— დიაღ, ვხედავ.

— ეს ქულები კი არა, ბატონის ასულო... თეთრი ყანჩები ჰყრია. ეგენი დაჰხოცეს იმისთვის, რომ მათის თავებიდან ქოჩრები ამოეწიწკნათ...

უჩინრად მისრიალებდა იზოლდა მდინარის გასწვრივ და აღშფოთებული ადევნებდა თვალსა. საითაც კი გაიხედავდა, ყველგან ჰხედავდა თოვლივიდ თეთრ მძორს, თავ-გასისხლიანებულს.

— ღმერთო, რა საშინელებაა!—ამბობდა თავზარდაცემული ქალი.

ათასობით ფრინველნი ეყარნენ მშვენიერს, სურნელებით აღსავსე მინდვრებში. ზოგი უკვე დიდისხნის მკვდარი იყო, ზოგი ახლად დახოცილი, ზოგი ეხლა კვდებოდა და, სულთა ბრძოლის მწვავე ტკივილისაგან ნისკარტ გაღებული, მდუმარეს ტანჯვით შეჰყურებდა იზოლდას.

— აი, საფასური შენის მორთულობისა,—ხელ-ახლად შემოესმა იზოლდას.—ჩვენ გვხოცდნენ, ხოლო ჩვენს შვილებს შიმშილი ჰკლავდა.

იზოლდამ აქეთ-იქით დაუწყო ხეებს თვალიერება, იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ცოცხალი არსება მაინც ვნახო, ერთი ცოცხალი ხმა მაინც გავიგონო ამ ხეობაშიო, მაგრამ ჰხედავდა მხოლოდ დანგრეულსა და გავერანებულს ბუდეებს დადახოცილის ბარტყებით.

— ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, ბატონის ასულო, რაც აქ ყოველს მხარეს მხიარულებისა და სიცოცხლის ჟრიამული ისმოდა. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, როცა პირველად გაისმა ხმა გოდებისა და კვნესისა. გუშინ კიდევ გაჰკიოდა ჰაერში ხმა უკანასკნელის ტანჯვისა, ხოლო დღეს ყოველივე მიჩუმდა: გამეფდა სიკვდილი... განა გესმის რამე, ან ჰხედავ რასმე, გარდა სიკვდილისა?...

ელდა-ნაკრავი და თავ-განწირული აწყდებოდა იზოლდა აქეთ-იქით და არ იცოდა, საით გაქცეულიყო, რომ აღარ დაენახა თავის მოუფიქრებლობის მსხვერპლნი, აღარ გაეგონა სინიდისის მქენჯნავი ხმა. იზოლდამ შეიგნო, რომ დაჰღუპა არა მარტო ერთი ფრინველი, როგორც ამას მოხუცი არწმუნებდა, არამედ ამოსწყვიტა მთელი შთამომავლობა, მთელი ჯიში. იზოლდა ყოველს ღონეს ხმარობდა გასათავისუფლებლად, იწევდა და აწყდებოდა აქეთ-იქით—და უცბად შემოჰკრა ფრთა ფრთასა და წარმოუდგენელის სისწრაფით საითკენღაც გაჰქანდა მარტოდ-მარტო უამხანაგებოდ, მაგრამ ზემოდ კი არა, ქვემოდ, სადღაც უძირო შავს უფსკრულში. ქალს თვალთ დაუბნელდა და გრძნობა დაეკარგა.

*
* *

იზოლდას თავის ლოგინში გაეღვიძა.

ჩქარა ვერ გამოერკვა იმ საშინელებისაან, რომელმაც მოიცვა იმისი სული. ეგონა, კვლავ ლელწამთა შრიალი მესმისო. და მდინარეს, ყვავილებსა და თეთრ ქულებს ვხედავო.

— სიზმარია!—მიხვდა, როგორც იყო, ქალი და თავისუფლად ამოისუნთქა.—მადლობა ღმერთს, მხოლოდ სიზმარი იყო.

ფერ-მიხდილი და თითქმის ავადმყოფი ადგა იზოლდა და დიდხანს ვერ შესძლო დამშვიდებულიყო. დიდხანს დადიოდა

სასახლეში და არ იცოდა, სად გაჰქცეოდა მძიმე ფიქრებს და-
მოგონებას. რცხვენოდა თავის თავისაცა და მამისაცა, რომ-
ლიც მოატყუილა. ამასთანავე შიშმა შეიპყრო, როცა შორს,
ზღვათა იქით დატოვებული საკუთარი ოჯახი და ქმარ-შვილი
მოაგონდა. მხოლოდ ერთის წუთით წარმოიდგინა თავისი თავი
არა ბატონის ასულ იზოლდათ, არამედ თეთრ ყანჩად, რო-
მელსაც შვილები შიმშილით უწყდება, მხოლოდ იმიტომ, რომ
ვილაცას ლამაზად მორთვა მოეპრიანა...

— საშინელებაა! საშინელება! --ჩურჩულებდა იზოლდა
და ძლივს-ღა დგებოდა ფეხზე შიშისა და აღშფოთებისაგან.—
საშინელებაა! დიდი სირცხვილია!...

— სახლში მივდივარ,—გამოუცხადა ქალმა მამას.—ნუ
დამიჭერ, ერთს დღესაც არ შემიძლიან დავრჩე. უბრძანე, გემი
მოამზადონ. ვიტანჯები, ვკანკალებ ჩემის შვილებისათვის.

და იზოლდამ მამას უამბო ეს საშინელი სიზმარი და თა-
ვისი ბოროტ-მოქმედება შეინანა.

თავი ჩაჰკიდა მოხუცმა მეფემ, ეს რომ მოისმინა.

— დიაღ,—მწუხარებითა და საყვედურით წარმოსთქვა
მეფემ,— არ მეგონა, თუ მომატყუებდი, იზოლდა. და მამამ
დაიწყო გმობა: დიდი ხანია მესმის, როგორ სწყვეტავენ თეთრ
ყანჩებს მორთულობისათვის, დიდი ხანია აღშფოთებული ვარ
ამისთანა ამბების გაგონებითა და შენი სიზმარიც, არსებითად,
სიმართლეა, ნამდვილი სიმართლეა.

— სიმართლეა?!—შეკრთა იზოლდა.

— სამძიმო სიმართლე!—მწუხარედ მიუგო მეფემ.—ყან-
ჩებიც იღუპებიან და ადამიანის ღირსებაც დაბლდება.

იზოლდა შეეხვეწა მამას, მასწავლე, რითი გავასწორო და
მოვინანიო ჩემი დანაშაული, მაგრამ მეფემ უთხრა:

— რაც მოჰხდა, იმას ვერავითარი სინანული ვერ წარ-
ხოცავს. სინანული ასპეტაკებს სულსა და ჰზღუდავს, რათა
ახალი დანაშაული არ ჩაიდინოს, მაგრამ წარსულის გასწო-
რება-კი შეუძლებელია.

— გეფიცები,—წამოიძახა იზოლდამ,—რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში ამის მეტი ბოროტება არ გავბედო არავის წინააღმდეგ!

— ეგ ცოტაა ცოტაა—ბოროტება არ გაჰბედო: საჭიროა კეთილი მოიქმედო. და მხოლოდ მაშინ იქნები ბედნიერი და დამშვიდებული,—ეუბნებოდა მეფე იზოლდას და თავისს ძვალტყავად ქცეულს ხელს ალერსით უსვამდა თმაზე.—ქვეყნად უამისოდაც ბევრი ტანჯვაა, ხოლო თუ ბოროტად და უსამართლოდ მოექეცი თუნდაც სრულიად უმნიშვნელო არსებას, ამით ადიდებ ბოროტებასა. და ადამიანის დანიშნულება-კი ეგ არ არის.

მეორე დღეს მეფემ გააცილა სახლისაკენ მიმავალი იზოლდა. ქალი ჩაფიქრებული და მდუმარე იყო. გემზე აღარ იყო ახლა არც ყვავილები, არც ფერად-ფერადი ჩირაღდნები, მსგავსად იმ გაზაფხულისა, როდესაც ბედნიერი იზოლდა, თვისის სილამაზითა და ახალგაზრდობით თავ-მომწონე, ახალ ცხოვრებით დასატკბობად მიემგზავრებოდა ახალს სამეფოში. მაშინ ქალს მარტო პირადი ბედნიერება ეხატებოდა თვალ-წინ; ეგონა ყველანი იზიარებენ ჩემს სიხარულსაო, ახლა-კი მიდიოდა მარტო, მწუხარე, ობლად, მაგრამ საერთო, საკაცობრიო ბედნიერებისათვის ფიქრით აღვსილი. ყველანი ბედნიერნი უნდა იყვნენ და ქვეყნად ყველაფერი სიკეთედ უნდა იქცესო. ბრუნდებოდა სახლში, საცა დატოვებული ჰყავდა ქმარ-შვილი და ხალხი. ხალხში ბევრი მწუხარება იყო და ამ მწუხარების შეგმსუბუქება გადასწყვიტა იზოლდამ, რომელმაც დაივიწყა თავისი თავი და თავისი საკუთარი სიამოვნება.

— მშვიდობით, საყვარელო ასულო!—უთხრა უკანასკნელად მოხუცმა მეფემ თავისს ქალს.—მოწყალება და სიკეთე, რომელიც შენ ახლა თან მიგაქვს, მტკიცე ბედნიერებას მოგანიჭებს.

როდესაც გემი უკვე ზვირთებში მისცურავდა, შორდებოდა კუნძულსა და ნისლიან ზღვაში მისრიალებდა, იზოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისევ ფეხზე იდგა, გაჩუმებული და ჩაფიქრებული. ... ... უკეთეს მომავლის იმედით, მაგრამ ეს უკეთესი მომავალი არა პირადად მას, არამედ იმის ხალხის კეთილდღეობას შეეხებოდა. ქალს ეჩქარებოდა შინ დაბრუნება, რათა თავის სამშობლოში დაეწყო სრულიად ახალი, კეთილი და ნაყოფიერი ცხოვრება...

განდეგილი

(დ.სასრული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატო გაბუნია

(30 წლის სასცენო მოღვაწეობის სახსოვრად)

ამ 1909 წელს 30 წელი შესრულდა, რაც ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა დაუღალავად, ერთგულად და დიდის ნიჭით ქართულ სცენას ემსახურება.

ნატალია გაბუნია დაიბადა გორში 1859 წელს 3 თებერვალს. მამა მისი იყო ნადიამბეგარი მერაბ გაბუნია, დედა—

ეროვნული

ფავლენიშვილის ქალი. ამათ გარდა ნატოს ჰყავდა კიდევ სამი და, ორი ძმა და ბებია. ქართული წერა-კითხვა ასწავლა ამ ბებიამ.

1879 წელს ტფილისში ახლად დაარსებულ დასში მიიღეს ნ. გაბუნია. ამის გარდა, ამ ნორჩ დასში ითვლებოდნენ ისეთი მსახიობნი, როგორც ყოვლად უნიჭირესი მარიამ საფაროვი (აბაშიძისა), ბარბარე კორინთელი (ყიფშიძისა), მაშო ყიფიანი (ქართველიშვილისა), ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ზაალ მაჩაბელი, ადამ ჩუბინაშვილი, ნიკო შიშნიაშვილი და აქვსენტი ცაგარელი. ამ წლიდან დაიწყო ნატო გაბუნიამ გამუდმებული შრომა ქართულ სცენაზე.

ამ ოცდა ათის წლის განმავლობაში ნატო გაბუნია-ცაგარლისას შეუსრულებია ბევრი სხვა და სხვა როლი. უმეტეს და განსაკუთრებულ ხელოვნებით ასრულებს ხანში შესულს დედაკაცის როლებს ჩვენის ცხოვრებიდან; ამ როლებში შეუდარებელია.

ნატალია გაბუნია-ცაგარლისა ჯერ მხოლოდ 50 წლისაა და კვლავაც დიდს ხანს შეუძლია ემსახუროს თავის საყვარელს სცენას, ქართველ ხალხის სანუგეშოდ და სასახელოდ.

X



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდრიხ შილლერი



ზუსტად წელს სრულდება ას ორმოცდა ათი წელიწადი მას აქეთ, რაც დაიბადა გერმანიის დიდებული პოეტი ფრიდრიხ შილლერი. გერმანია და მასთან ერთად ყველა განათლებული ქვეყნები შარავანდედით ღვაწლ-შემოსილ სახელს ფრიდრიხ შილლერისას თავის დღეში ვერ დაივიწყებენ. ბუნებისაგან ნიჭით უხვად დაჯილდოვებული პოეტი თვისს ნაყოფიერის შრომითა და ღვაწლით მთელ კაცობრიობის დიდებულ მასწავლებლად და მოძღვრად უნდა ჩაითვალოს, რადგან თვის მხატვრულ ნაწარმოებით უნერგავდა გულში ჭეშმარიტების სიყვარულს არა მარტო თავის მოძმე გერმანელს, არამედ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა. ფრიდრიხ შილლერის ნაწარმოებში ჩაქსოვილი აზრები საკაცობრიო აზრებად და იდეალებად ჩაითვლება. სწორედ ამითი აიხსნება ის გარამოება, რომ დიდებულ პოეტის ღვაწლ-შემოსილ სახელით თავი მოსწონს არა მარტო პოეტის სამშობლოს—გერმანიას, —არამედ მთელ განათლებულ კაცობრიობას, რომელიც, ყოველს ეჭვს გარეშეა, დიდის აღტაცებით იდღესასწაულებს დიდებულ პოეტის დაბადების ას ორმოცდა ათის წლის თავს. სწორედ პოეტის აღნიშნულ თვისებებით აიხსნება ის გარემოება, რომ დიდებულ მწერალისა და პოეტის თხუზულებანი თითქმის ყოველ ერის ენაზედ არის გადათარგმნილი. ყოველი ერი, საცა კი მწერლობას ცოტა ოდნად მაინც ფეხი მოუკიდებია, თავის მოვალეობად სთვლის გააცნოს დიდებულ მწერლის აზრები და იდეალები თავის თანამემამულეებს.

1905 წელს „ნაკადულის“ რედაქციამ თავის პატარა მკითხველებს უკვე გააცნო გერმანიის ღვაწლ-მოსილი პოე-

ტის ყოფა-ცხოვრება, მისი მოღვაწეობის დაახლოებითი მნიშვნელობა. და ამიტომ ამ ჟამად რედაქცია გაკვრით მოაგონ-



ფრიდრიხ შილლერი

ნებს თავის მკითხველებს პოეტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს და მის ნაწარმოებთა მნიშვნელობას და ამასაც მხოლოდ იმ აზრით, რომ ჩვენმა პატარა მკითხველებმა, მთელ განათლებულ კაცობრიობასთან ერთად, ქებითა და დიდებით მოიხ-

სენიონ და აღნიშნონ, ას ორმოცდა ათის წლის დაბადების დღის თავი იმ ღვაწლ-შემოსილ ადამიანისა, რომელიც სიტ-ყვითა და საქმით, ჟამსა ყოველსა ჭეშმარიტებისა და სათნოების დამყარებას სცდილობდა, რომლის დიდებული კალამი მუდამ საკაცობრიო იდეალების დამკვიდრებას გულ-წრფელად ემსახურებოდა.

—

ფრიდრიხ შილლერი დაიბადა 10 ნოემბერს 1759 წელს. პოეტის წინაპარნი, როგორც დედისა, ისე მამის მხრით უბრალო სოფლის მეპურეები იყვნენ. პოეტის მამა იოჰაგან შილლერი თავის ნიჭითა და გამჭრიახობით მთელს გვარეულობაში ყურადღებას იქცევდა. ათის წლის იოჰაგან შილლერი მამას უკვე პურის გაყიდვასა შველოდა. პატარა იოჰაგანმა წერა-კითხვაც მალე შეისწავლა და თან და თან უფრო მეტ სურვილს იჩენდა სწავლის შეძენისას. მშობლებმა შვილის სურვილს ანგარიში გაუწიეს და ათის წლის იოჰაგანი ადგილობრივ ექიმ დოსტაქარს მიაბარეს სასწავლებლად. ექიმმა დიდი ყურადღება მიაქცია ნიჭიერ ყმაწვილს, რომელიც დიდის გულ მოდგინეებით დაეწაფა ექიმობის შესწავლას. ოცდა ორის წლის იოჰაგან შილლერმა უკვე სამხედრო ექიმის თანამდებობა დაიჭირა. ოცდა ხუთის წლის ჭაბუკმა ჯვარი დაიწერა ადგილობრივ მეპურის ქალზედ—ელისაბედ კოდვეისზედ

რვა წლის ქორწინების შემდეგ, 10 ნოებერს 1759 წელს, იოჰაგანსა და ელისაბედ შილლერს შეეძინათ ვაჟი ფრიდრიხ შილლერი, მომავალი პოეტი და დიდება მთელის გერმანიისა. პოეტის მშობლები პატიოსან და გულკეთილ ადამიანებად იყვნენ მიჩნეული. ეს ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო თვისებანი მშობლებმა უმეტნაკლებოდ უანდერძეს თავის საყვარელ შვილს. ფრიდრიხ შილლერი თვისის გარეგანის შეხედულობით პირწავარდნილი დედა იყო: მაღალი და მოხდენილი ტანი, ნათელი პირის სახე, ფართო შუბლი, ნაზი გამომეტყველება თვალებისა ერთი ორად სასიამოვნოდ ხდიდნენ მომავალ პოეტს მნახველთათვის.

ექვსის წლის პატარა შილლერი მშობლებმა მიაბარეს ადგილობრივ მღვდელს, რომელიც ყმაწვილის ნიჭითა და ცნობის მოყვარეობით აღტაცებაში მოდიოდა. მღვდელი დიდ იმედებს ამყარებდა თავის პატარა მოწაფეზედ და ყოველთვის კერძო ბაასში მშობლებს ურჩევდა, საფუძვლიანი განათლება მიეცით თქვენს შვილს ფრიდრიხსაო.

1773 წლამდის ფრიდრიხ შილლერი სწავლობდა, ადგილობრივ მღვდლის რჩევით, ლათინთა სკოლაში, ხოლო ამ წელს კი ვირტემბერგის ჰერცოგმა კარლოსმა ჩარიცხა ახალგაზრდა ფრიდრიხ შილლერი სამხედრო აკადემიის მოწაფეთ. ამ სასწავლებელში შილლერი დაეწაფა იურიდიულსა და საექიმო საგნებს და ზედ მიწევნითაც შეისწავლა ეს საგნები. პოეტი სასწავლებელშივე გრძნობდა თავის პოეტურ მოწოდებას, მაგრამ მაინცა და მაინც არ ეტანებოდა მწერლობას, რადგან ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მარტოოდენ ნიჭი, თუ საფუძვლიანი ცოდნა არ მექნება, დიდს ვერაფერს შემძენსო. აი, სწორედ ამ აზრით განიზრახა მომავალმა პოეტმა ჯერ ჯერობით მეცნიერების საფუძვლიანად შეთვისება, და მერე სამწერლო ასპარეზზედ გამოსვლა. პოეტმა მართლაც მიაღწია ამ საწადელს. იშვიათი მწერალი—პოეტი გამოსულა სამწერლო ასპარეზზედ ისე საფუძვლიანად მომზადებული, ისე ზედიწევნით მცოდნე თავის დროინდელ მეცნიერებისა, როგორიც იყო ფრიდრიხ შილლერი, როცა მან მწერლობას მიჰყო ხელი. სწორედ ამითი აიხსნება ის გარემოება, რომ თვითეული ნაწარმოები პოეტისა ღრმა ცოდნისა და დაკვირვების შედეგია, თვითოეულს ნაწარმოებს იშვიათის ნიჭისა და ცოდნის შეურყეველი ბეჭედი აზის.

ოცი-ოცდა ათის წლის სალიტერატურო მოღვაწეობით ფრიდრიხ შილლერმა გერმანიის ერს შესძღვნა ისეთი ხელთუქმნელი ძეგლი, რომლის მოსპობა და განადგურება არავითარ ჟამთა ვითარებას არ შეუძლია. ფრიდრიხ შილლერის „ავაზაკები“, „ფიესკო“, „ცბიერება და სიყვარული“, „დონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლოსი“, „ნიდერლანდის პროვინციების ჩამოშორების ისტორია“, „საბერძნეთის ღმერთები“, „30 წლის ომის ისტორია“, „წერილები კაცის ესტეტიურ განვითარების შესახებ“, „მარიამ სტუარტი“, „ორლეანელი ქალწული“, „ვალენშტეინი“, „ვილჰელმ ტელი“, „მესსინელი პატარძალი“ და მრავალი კიდევ სხვა ნაწარმოები ლიტერატურის ისტორიაში მსოფლიო ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს. ყველა ამ თხუზულებას საფუძვლად აქვს დადებული საკაცობრიო აზრები და იდეალები, ყველგან და ყოველთვის პოეტი უპირველეს ადგილას აყენებს კაცობრიობის კეთილ-დღეობას და ამ თვალთ ისრის ხედვით ზომავს ამა თუ იმ თხზულების გმირის გრძნობას, ყველგან და ყოველთვის პოეტის გულწრფელი მისწრაფება და სიმპატია ადამიანის გაკეთილშობილების იდეალს ემსახურება. კიდევაც სწორედ ამით აიხსნება, რომ ფრიდრიხ შილლერის თვითოეული თხუზულება თავისი წარმტაცი „სამარადისო იდეალებით“ იკაცებს მკითხველის გონებას, უღვიძებს გულში კეთილშობლურ აზრებს, ამხნევებს ცხოვრების რთულსა და აუტანელს გარემოებაში და კეთილის მომავალისაკენ უთითებს.

ა. მ—ძე





მითოლოგია

ტროადის ომი

მოციქულების აქილევსთან წასვლა

ელლინთა სარდლების არჩეული მოციქულები გაუთენებლივ მივიდნენ ზღვის ნაპირას და გულწრფელად შეევედრნენ პოსეიდონ ღმერთს, რათა მათი აქილევსთან მოციქულობა კეთილად დაგვირგვინებულიყო. ჩვეულებრივ ლოცვის შემდეგ, მოციქულები ჩქარის ნაბიჯით გაეშურნენ მირმიდონების ბანაკისაკენ. სწორედ იმ დროს, როცა მოციქულები მიუახლოვდნენ აქილევსის სამხედრო კარავს, აქეველთა გმირთა გმირი თავის კარავში იჯდა და მდიდრულად შემკულ, ძვირფასს ჭიანურის სიმებს საოცნებოდ აჟღერებდა და თან მომხიბლავის სიმღერით ძველ გმირთა სახელს აქებდა და ადიდებდა.

აქილევსს პირდაპირ უჯდა მისი გულითადი, საყვარელი მეგობარი პატროკლოსი და ყურს უგდებდა აქილევების გმირთა გმირის მომხიბლავსა და გულწარმტაც სიმღერას.

აქილევსმა დაინახა თუ არა მოციქულები, რომლებიც, ოდისევსის წინმძღოლობით, სამხედრო კარავში შემოდიოდნენ, მსწრაფლ ზეზედ წამოდგა და მხიარულის პირის სახით მიეგება. აქილევების გმირთა გმირმა მეგობრულად ხელი ჩამოართვა შემოსულ სტუმრებს და თან დასძინა: „დიდად მოხარული ვარ, ბატონებო, თქვენის ჩემს კარავში მობრძანებისა! ჭეშმარიტად, თქვენ ელლინთა შორის ყველაზედ უფრო სასიამოვნო სტუმრები ბრძანდებით!“

ამასთანავე აქილევსმა მიიწვია ძვირფასი სტუმრები თავის სამხედრო კარავში და სთხოვა მოციქულებს საპატიო ადგილას ჩამომჯდარიყვნენ საუცხოოდ მოქარგულს სავარძლებში.

აქილევსის მეგობარი პატროკლოსიც დიდის სიხარულით და აღტაცებით მიესალმა ძვირფასს სტუმრებს. ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ, აქილევსი მიუბრუნდა თავის მეგობარს პატროკლოსს და უთხრა: „ჩემო გულითადო, ძვირფასო მეგობარო პატროკლოს! ჩამოასხი საუკეთესო და მაგარი ღვინო და გაგვიშალე მეგობრული სუფრა! ამაღამ ჩემს ჭერს ქვეშ გაატარონ დრო ჩვენთან ერთად ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმა!"

პატროკლოსი დაუყოვნებლივ გავიდა სამხედრო კარავიდან ღვინის ჩამოსასხმელად. თვითონ აქილევსი, თავის მეგობრის ავტომედონის დახმარებით, შეუდგა საჭმელების დამზადებას. დაჭკლეს მრავალი თხა და ცხვარი, ააგეს წვადები, მოხარშეს მშვენიერი შაშხი და სწრაფად სუფრაც გაამზადეს. პატროკლოსმა ღვინით სავსე თასები შემოიტანა და პური ჩამოარიგა. როცა სუფრა უკვე გამზადებული იყო, პატროკლოსმა ღმერთებს ღვინის ზედაშე წაუქცია და სტუმრები და მასპინძლები შემოუსხდნენ მდიდრულად გაწყობილ სუფრას და ნუგბარს საჭმელებს შეექცეოდნენ.

ვახშამზედ, როცა სტუმრები და მასპინძლები დასტკბნენ სანუკარ საჭმელებით, ოდისევსმა აიღო ღვინით სავსე თასი ხელში და ასეთის სიტყვებით მიმართა აქილევების გმირთა გმირს აქილევსს: „სახელ განთქმულო და ძლევამოსილო გმირთა გმირო აქილევს! მუდამ ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ შენს სტუმართ მოყვარეობას საზღვარი არა აქვს, შენს სუფრას არასოდეს ჩიტის რძეც არა ჰკლებია! ყოველივე ესე ღრმადა გვწამს და ამის შესახებ არასოდეს ეჭვიც კი არ შეევპარვია. მაგრამ ჩვენ ამ შენის უხვის სუფრის შესამოწმებლად კი არ მოვსულვართ ამ აუტანელს ღამეში, შენთან დროს გასატარებლად და თავ-შესაქცევად კი არ გამოუგზავნივართ

ელლინთა სარდლებს. ჩვენი აქ შენთან მოსვლის აზრი სულ სხვა არის. შენ თვითონაც კარგად მოგეხსენება ის უბედურება, რომელიც ელლინთა მხედრობას თავს დაატყდა ამ უკანასკნელ დროს. ჩვენი ავლა-დიდება, ჩვენი მხედრობა და ჩვენი ხომალდები უეჭველად ხელთ ჩაუვარდება ჩვენს მოსისხლე, დაუძინებელ მტერს, თუ გული არ მოიბრუნე და ჩვენს მხედრობას ისევ არ დაუბრუნდი. ტროადელების მხედრობის თავგასული რაზმები დაბანაკებულნი არიან ჩვენის ხომალდების მახლობლად და კადნიერებით მოიწევენ ჩვენის მხედრობისაკენ. ყველაფერი ხელს უწყობს, რომ ერთბაშად ცეცხლი წაუკიდონ ჩვენს ხომალდებს და ერთიანად გადაბუგონ. ამაზედ მეტი სირცხვილი და დამარცხება კიდევ შესაძლებელია!? ღმერთების მამათმთავარი, ყოვლად შემძლებელი ზევსიც ტროადელების მხარეზედ არის და, რაც შეიძლება, ხელს უწყობს მათს გამარჯვებას. ტროადელების მხედართ-მთავარი ჰექტორი კარგად გრძნობს ამ უპირატესობას და კიდეც ამიტომ არის, რომ ასე მოურიდებლად თავს ესხმის ელლინთა მხედრობას და ასე შეუბრალებლად მუსრს ავლებს ჩვენს მეომრებს. თავწასული ჰექტორი ამ ჟამად მხოლოდ განთიადს მოელის, რომ კვლავ განაახლოს ჩვენ მხედრობაზედ თავდასხმა. უეჭველია, რომ თავგასული მოსისხლე მტერი არ დაზოგავს ჩვენს ხომალდებს და ცეცხლის ალში გაახვევს მთელს ჩვენს მხედრობას. დიდებულო აქილევს! მოიბრუნე ელლინთა მხედრობაზედ შენი ჩჩვიული გული და დაიხსენი, თუმცა უკვე გვიან არის, ამ საშინელის თავ-ზარ დამცემ განსაცდელისა და გაჭირვებისაგან. ტროადელების მთავარ სარდალს ჰექტორს ყოველთვის ეშინოდა შენი, ყოველთვის შიშითა და კრძალვით შემოგყურებდა, და ამიტომ შენი ისევ ჩვენს მხედრობაში დაბრუნება შველას მისცემს ჩვენს ამ ჟამად გაჭირვებულს მხედრობას; შენი კვლავ ტროადელების წინააღმდეგ გალაშქრება ჩვენს მხედრობას აღაფრთოვანებს და განსაცდელისაგან გვიხსნის. მთელის მხედრობის სახელით, გევედრები, დიდებულო აქილევს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიბრუნე შენი გული ჩვენსკენ და ამ გაჭირვებისგან
გვიხსენი! გახსოვდეს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს მოსისხლე მტერ
თავის საწადელი არ აუსრულებია. და თუ ასე არ მო
ცევი და დახმარებას არ აღმოგვიჩენ, დაარწმუნე შეხი ბ
ლი, რომ შენ თვითონვე მწარედ დაგაღონებს შენის საყვა
რელის მხედრობის მოსისხლე მტრისაგან განადგურება და
მიწასთან გასწორება. დიდებულო აქილევს! მოიგონე მა-
მაშენის ის საგულისხმიერო სიტყვები, რომლითაც გამოგი-
სტუმრა ავლისის ნავთსადგურიდან. „შეიოკე შენი ამაყი გუ-
ლი!"—გეუბნებოდა მამა შენი გამოთხოვების დროს: „გახ-
სოვდეს მუდამ, რომ სათნოება და მშვიდობიანობაა საუკე-
თესო თვისება ადამიანისა, და არა მრისხანება და უთანხმოე-
ბა!" აი, ეს საგულისხმიერო სიტყვები, ჩვენო გმირთა გმირო
აქილევს, უკვე დაივიწყე· და ეს ასე რომ არ იყოს, განა
ჩვენს მხედრობაზედ ამოდენ ხანს გულს არ მოიბრუნებდი?!
დაიმშვიდე შენი გული, დიდებულო გმირო, მით უფრო რომ
აგამემნონი თავის დანაშაულს შენს წინაშე საჯაროდ აღიარებს
და კიდეც მზად არის ღირსეული პატივი ცეს უხვის საჩუქრე-
ბის შენდამი მოძღვნით! განა შენთვის საკმარისი არ უნდა
იყოს, რომ ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალმა საჯაროდ
შეინანიოს თავისი დანაშაული?! მაგრამ ესეც რომ არ იყოს,
ჩვენო სასიქადულო გმირთა გმირო, არ უნდა გავიწყდებო-
დეს შენი საყვარელი ელლინთა მხედრობა, რომელიც ამ ჟამად
უკიდურესს გაჭირვებას განიცდის; არ უნდა გავიწყდებოდეს
ჩვენი საერთო სამშობლო, რომელიც სამუდამოდ შეურაცხ-
ყოფილი და შერცხვენილი იქმნება, თუ ელლინთა მხედრობა
თავგასულ მტრის წინაშე ქედს მოიხრის და ბრძოლის ველს
სამარცხვინოდ დასტოვებს. დიაღ, დიდებულო აქილევს, არ
უნდა გავიწყდებოდეს ჩვენის საერთო სამშობლოს აოხრება
და აწიოკება! ვინ იცის, რამდენი უბედური დედა, რამდენი
უბედური შვილი, მეუღლე ცხარე ცრემლით ატირდება ელ-
ლინთა მხედრობის განადგურებით! დიაღ, ყოველივე ესე უნდა

ახსოვდეს და ჩვენს კერძო კეთილ დღეობას არ უნდა-ვაწა-
ალოთ ჩვენი საერთო სამშობლოს კეთილდღეობა! სამშო-
�ს სიყვარული, სამშობლოს პატივისცემა, სამშობლოს
ილდღეობა უპირველეს, სათაყვანო საგნად უნდა გვქონ-
ეს თვითოეულს ჩვენგანს გულში აღბეჭდილი!"

ოდისევსმა ამასთანავე ჩამოუთვალა აქილევსს ყველა ის საჩუქრები, რომლითაც გადაწყვეტილი ჰქონდა დაესაჩუქრებინა ელლინთა მხედრობის მთავარ-სარდალს ძლევა-მოსილი აქილევსი.

ა. მიქაბერიძე

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

ვ, ს 100, ი

,,

ნ ,, ,, ვ,,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 №-ში მოთავსებულ რებუსის ახსნა:

დათვმა კბენა არ იცოდა და კაცმა ასწავლაო.

ოედაქტორი **მ. ი. დემურია** გამომც. **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყიდება ნაკადულის რედაქციაში და
ს. კ. საზ. მ ღაზიაში შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

ტომის თავ გადასავალი, თხზულება მარკ ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 50 კ.

რას გვიამბოს ოთახი, თხზულება ავენარიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი . . . . . 20 კ.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

გამოვა 1910 წელს იმავ პროგრამმით.

ფასი ღლიურად:

მოზრდილთათვის **12** წიგნი 3 მანეთი (|) მცირე წლოვანთათვის **24** წიგნი 3 მან.
ორნივეზე ერთად მოზრდილთა ⁄ მცირე წლოვანთათვის 36 წიგნისა 5 მანეთი.
ნახევარის წლით ვინც გამოიწერს ორივეს ერთად — 3 მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: „ნაკადული“-ს რედაქციაში გოლოვინის პროსპ. სახ. № 8
და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა